ლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და ტფილისის კომი-
ტეტის და სრულ. საქარ. მ.,
გ., წ.-არმ. და მატროსთა დე-
პუტატების საბჭოთა ცენტრა-
ლური აღმასრულებელ კომი-
ტეტის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: საქართველოში 100 000 მ. ქართ. ბონებით. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 5000 მან.

ქართ. ბონებით უყოლგან.

№ 220 სამშაბათი, 26 სექტემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 26 სექტემბერი 1922 წ. № 220

ცენტრალურ აღმასკომის სესია

რულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმის დად-ების თანახმად ამა წლის სექტემბრის 30 თვის მოწვეულია სრულიად ველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი შემდეგი დღიური წესრიგით:

) მოხსენება ს—ს ცაკის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ (მომხსენე- ა ფ. მახარაძე).
) პროექტი სამაზრო და თემთა აღმასკომების რეორგანიზაციის შე- მომხსენებელია შინ. საქმეთა სახ. კომის. ს. გეგეჭკორი).
) მიწად-მოწყობის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ ენებელია მიწად-მოქმედებას სახ კომ. ს. თოდრია).
) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი (მომხსენე- ა ს. ქავთარაძე).
) პროექტი დებულებისა ადვოკატურის შესახებ. (მომხსენებელია ს. აძე).
) პროექტი დებულებისა პროკურატურის შესახებ (მომხსენებელია არაძე).
) საერთო დებულება გადასახადთა სისტემის შესახებ (მომხსენებე- ინანსთა სახ. კომისარი).
) მოხსენება შიმშილზე (მომხსენებელია ფ. მახარაძე).

ადგან განსახილველი საკითხი ფრიად საყურადღებოა, დასწრება ცა- ლა წევრებისათვის აუცილებელია.

0—4 ს—ს ცაკის პრეზიდიუმი.

სატყეო მეურნეობა ჩვენში

არის ტყე, რას წარმოადგენს ალხო მეურნეობისათვის, რა- ელობ აქვს მას სახალხო თელობისათვის და სხვა მრავა- ეთი საკითხები პრაქტიკულათ ღ ახლა დგებიან ჩვენ წინაშე ეველად ელოდებიან ჩვენგან ულ პასუხს და ზომების მი-

ცა, დაახლოებით ამ წლინახევ- ნეთ საბჭოთა ხელისუფლება და ჩვენში, დიდძალი ტყეები უკვე სანახევროთ გაჩეხილი ნადგურებული იყო.

ნასკნელ 10 15 წლის განმავლო- ტყეების გაჩეხამ პირდაპირ მტა- ბითი ხასიათი მიიღო. ის ულ- ან ხელუხლებელი ტყეები, რო- თაც ასე მდიდარი იყო საქარ- ო წინეთ, საბჭოთა ხელისუფლე- ამყარების დროს, უკვე აღარ ბდენ.

ე ნაირით, საბჭოთა ხელისუფ- დამყარების პირველ ხანებში- ების დაცვა მოსპობისაგან არა რელ პირობებში იქნა ჩაყენე- უწინარეს ყოვლისა სატყეო ელობის ორგანოებს, რომლე- ალმა ხელისუფლებამ მიიღო ც მემკვიდრეობა, თავისი გამ- და ტყის მცველებით ხალხი პირ უნდობლობას უცხადებდა აგ-ალაგ მათ იგი არ სცნობდა ქვებოდა კიდეც. იმავე დროს ერთბაშათ შეესიენ გასაჩეხათ და სხვა მიზნით ათასნაირი ორ- ციები, რომლებიც უეცრიდ სო- ით გამრავლდენ. ამგვარათ ტყე- თქო უპატრონოთ დარჩენ მი- ული, და ვისაც უნდოდა ჩეხდა ადგურებდა მათ. ასეთ პირო- , რა თქმა უნდა, ტყის დაცვის ვერ წავიდოდა სასურველათ. ველ ნი ვხედავდით, რომ ტყე- ადგურდებიან და ისპობიან, რაც თ დიდ კატასტროფათ გადაიქ- , მაგრამ ერთ ხანს ჩვენ პირ- უძლური ვიყავით და შეიძლე- ესაც ვართ ეს მდგომარეობა ითათ შევსცვალოთ.

ქვამია, სინამდვილეს პირდაპირ შეხედო თვალებშიო. ამ შემ- აშიც ჩვენ ამ სინამდვილეს არ ვთ.

ების მდგომარეობა დღეს ჩვენ- მიშარია, და თუ ახლავე არ იქ- ღებული უსასტიკესი ზომები დასაცავათ, ჩვენ უტყეოთ დარ- ოგველის სულ ახლო მომავალ- ლო თუ რა უბედურებას შეი- ჩვენ მთა-გორიან და დაქანებულ მისათვის ტყის მოსპობა, ამის თებს დღეს ჩვენ უკვე ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ თავისივე ებით არა თუ დიდი, არამედ ა წვიმების შემდეგაც კი.

არის საჭირო ანუ რა ზომები იქნას მიღებული ტყეების და- თ? აი ერთი მთავარი საზრუ- აგანი დღეს საბჭოთა ხელის- ბისთვის. ეს საკითხი გულ ის- არა მარტო არსებულ ტყეების ას და იმათ რაციონალურათ ვას, არამედ ტყეების მოშენე- ებ, სადაც ისინი ამ უკანას- წლების განმავლობაში გაჩეხილ ნადგურებულ იქნენ. რა არის ამისთვის საჭირო?

წინათ პროფ. ქურდიანს, რო- ც ამ დარგში მუშაობს, ფრიად ადლებო წერილები მოუთავსე- აზ **„სოფლის მუშაში"** შემდე- სათაურით: **„ჩვენი ტყე და სოფ- მეურნეობა".** *) პატივცემული გადმოგვცემს მდაბიური, ყველასათვის ადვილი გასაგები ენით ტყის მეურნეობის მნიშვნელობას, უხსნის მკითხველებს, თუ რა ვნებს ან სპობს ტყეს და რა ზომები უნდა ვიხმაროთ, რომ ტყეების განადგურება შევაჩეროთ. ჩვენ არ ვიცით, მიაღწიეს თუ არა ამ წერილებმა ხალხამდის, გლეხკაცობამდის. უნდა ვიგულისხმოთ, რომ, არა. ამიტომ ჩვენ ვამბობთ რომ პროფ. ქურდიანის წერილები ცალკე წიგნაკათ უნდა იქნეს გამოცემული, რაც შეიძლება საჩქაროთ ხალხში გასავრცელებლათ. ეს იმიტომ, რომ ტყის დაცვის საქმეში ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა დავაინტერესოთ ჩვენი გლეხკაცობა. გლეხკაცობას უმეტეს შემთხვევაში არ ესმის ტყის მნიშვნელობა, ამიტომ იგი ასე შეუბრალებლათ და დაუზოგველათ ექცევა მას. ეს სრულებით გასაკვირალი არაა, ვინაიდან წინეთაც და ეხლაც მას მხოლოდ უკრძალავენ ტყის გაჩეხას და იმავე დროს კი იგი აშკარათ ხედავს, რომ ტყეს მაინც ჩეხავენ, ეს ერთი და მეორეც მის თვალწინ აუარებელი ბოროტმოქმედება ხდება ტყის გარშემო. მაგრამ გლეხკაცობის დაინტერესება ტყით არც ისე ძნელი საქმეა. ახსნა გლეხკაცობისთვის, თუ რა მნიშვნელობა აქვს მისთვის ტყეს, და იმავე დროს, თუ რა უბედურება იქნება მისთვისვე ტყის მოსპობა, ყოველივე ამის შეგნება დღეს გლეხკაცობისთვის შესაძლებელია. პირადათ ამ ზაფხულს ტყეების დათვალიერების დროს არა ერთხელ მქონებია შემთხვევა მესაუბრა გლეხებთან ტყეების მნიშვნელობაზე, და მე დიდი შრომა არ მჭირდებოდა დამერწმუნებია ისინი იმაში, რომ ტყეების მოსპობა მათთვის უდიდესი უბედურება იქნებოდა. და ესენი იყვენ შედარებით ჩვენი გლეხკაცობის უფრო შეუგნებელი ნაწილი. ტყე ნადგურდება და ისპობა უმეტეს ნაწილათ ორი გარემოებით: 1) **პირუტყვის შეშვებით ტყეში საძოვრათ და 2) ტყეების გაჩეხვით საყანე და სათიბი მიწების გაფართოების მიზნით.** ჩვენ ვიცით, რომ პირველი გარემოება უდიდესი ბოროტებაა. ტყე მუდამ უნდა ახლდებოდეს ახალი მოზარდი მცენარეებით, ხეებით, რომლებმაც დაბერებული და გაფუჭებული ხეების ადგილი უნდა დაიჭირონ. თუ ეს არ მოხდება, ტყე თავის თავათ მოისპობა, მაგრამ ამის საშუალება არ იქნება, თუ საქონელი ტყეში საძოვრათ შეუშვით, ვინაიდან ეს უკანასკნელი ანადგურებს და ახდენს სწორედ ახლად ამოსულ მცენარეებს, ხეებს, რომლებმაც დაბერებულ ხეების ადგილი უნდა დაიჭირონ. მეორე მხრით, ისიც მართალია, რომ ზოგ შემთხვევაში გლეხკაცობას მეტი გზა არ აქვს, თუ ტყეში არ მოაძოვა საქონელი. მაგრამ თუ სასწორის ერთს მხარეზე დავდებათ ტყის მნიშვნელობას და მეორეზე პირუტყვს, ტყე უთუოთ გადასწონის, მით უფრო, რომ საქონლის შენახვა ისედაც შეიძლება. განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია რომ საძოვრათ მიჩნეულ იქნას ტყის განსაზღვრული რაიონი. სხვა გამოსავალი არაა; დანარჩენ ტყეებში სასტიკათ უნდა აიკრძალოს საქონლის ძოვება.

რაც შეეხება ტყეების გაკაფვას და საყანე და სათიბ-მინდვრებათ გადაქცევას, ამ საკითხს ორნაირი მხარე აქვს. დიდი ნაწილი ჩვენი ტყეებისა გაშენებულია მთა—გორებზე, ფერდობებზე და დაქანებულ ადგილებზე; გარდა ამისა გვაქვს ტყეები ვაკე და ჭაობ ადგილებზე. პირველი კატეგორიის ტყეების გაჩეხა ყანებათ გადაქცევის მიზნით ყოვლად დაუშვებელათ უნდა ჩაითვალოს. ასეთ ადგილებზე ყანების გაჩეხა, ეს მხოლოდ თავისი თავის დატყუილებაა, შეიძლება პირველ ორ წელიწადს ასეთმა მიწამ გლეხს მისცეს მცირეოდენი, სრულებით უმნიშვნელო მოსავალი, ხოლო შემდეგ კი ასეთი ადგილები არავითარ მოსავალს არ გამოიღებენ, ისინი დაისერებიან, ნიაღვრებისაგან გაირეცხებიან და გაუვალ ხევებათ გადაიქცევიან. ამავე დროს წვიმების დროს აქედან წამოვლენ ისეთი ნიაღვრები, რომ სულ წალეკავენ თავის გზაზე ყველაფერს. ამ უკანასკნელ დროს გახშირებულ და ჯერ არ ნახულ წყალდიდობების შემდეგ ყველაფერი ეს იმდენათ თვალსაჩინოა, რომ ამაზე მეტია ლაპარაკიც. მიაქციეთ ყურადღება უკანასკნელ წყალდიდობებს გურიაში, სამეგრელოში, რაჭაში და სხვ.

ნუ თუ ამ გარემოებამ ჩვენი გლეხკაცობა არ უნდა დააფიქროს? ჩვეულებრივათ ასეთ ტყეების განადგურებით მდინარეები კლებულობენ, წყაროები შრებიან და ბევრ ადგილას დიდი საფრთხე მოელის ჩვენ ძვირფასს მინერალურ წყლებს ბორჯომში, აბასთუმანში და სხვაგან, თუ ახლავე სასტიკი ზომები არ იქნა მიღებული იმათ დასაცავათ. ერთი სიტყვით, მთა-გორიან და ფერდობ ადგილებზე ტყეების გაჩეხა საყანე თუ სათიბ მიწებათ გადასაქცევათ არა თუ ყოვლად უაზრო და მიზანშეუწონელია, არამედ **უდიდესი დანაშაული** არა მარტო დღევანდელ, არამედ კიდევ უფრო მომავალ თაობათა წინაშე.

სულ სხვაა ვაკე და ჭაობიან ადგილებში მდებარე ტყეები.

უმეტეს შემთხვევაში ასეთი ტყეების სისტემატიური გეგმით გაჩეხა ან გაკაფვა არა თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც არის. ასეთ ტყეებს არ აქვს დაცვითი ხასიათი; იმათი გაჭრა წყალდიდობას და ნიაღვარს არ გამოიწვევს ისე როგორც დაქანებულ ადგილებში. გარდა ამისა, ეს გამოიწვევს ჭაობების გაშრობას, რაც ბევრნაირათ სასარგებლოა. აი როგორ დგას საკითხი.

უპირველეს ყოვლისა აუცილებლათ საჭიროა ხალხში სალი და სწორი შეხედულების გავრცელება ტყეების შესახებ; საჭიროა, რომ ხალხმა შეიგნოს ტყეების მნიშვნელობა და ამნაირათ დავაინტერესოთ ის ტყის დაცვის საქმეში; საჭიროა, რომ თითოეულ თემში ან საზოგადოებაში შესდგეს კომისიები ამ მიზნით, როგორც ეს უკვე არსებობს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ადგილებში, საჭიროა, რომ გამოიცეს პოპულიარული წიგნაკები ტყის მოვლა პატრონობის შესახებ, საჭიროა სიტყვიერი პროპაგანდა ყველა ამ აზრების განსაკუთრებით გლეხკაცობაში.

ეს საქმის ერთი მხარეა. ამისთვის საჭიროა, რა თქმა უნდა ცოტათ თუ ბევრათ საკმარისი დრო. მაგრამ საქმის გარემოება ისეთია, რომ ის დაყოვნებას არ ითმენს. საჭიროა, მთავრობამ ახლავე მიიღოს თავის მხრით საჭირო ზომები ტყეების დასაცავათ. უწინარეს ყოვლისა უნდა შემუშავებულ იქნას შესაფერი ზომები, რომლებიც სასტიკათ უნდა გატარდენ ცხოვრებაში დაუყონებლივ. მიწადმოქმედების კომისარიატმა უკვე შემუშავა ასეთი ზომები და ისინი ჩქარა იქნებიან გამოქვეყნებული. ამავე დროს საჭიროა ტყის ადმინისტრაციის სათანადო დონეზე დაყენება, საჭიროა მისი გაწმენდა უვარგისი და მავნე ელემენტებისაგან.

დასასრულ, საჭიროა ორგანიზაციებმა უნდა შეიგნონ, რომ გარეშე იმ ფარგლებისა და იმ ინსტრუქციებისა, რომლებიც არსებობენ ან შემდეგში იქნებიან შემოღებულნი, არავის არ მიეცემა ტყის გაჩეხის უფლება. არავითარი გამონაკლისი, არავითარი უპირატესობა ამ შემთხვევაში არავის არ მიენიჭება. ეს კარგათ უნდა შეიგნონ ყველამ.

მხოლოდ ასეთ პირობებში ჩვენ დავიფარავთ ტყეებს განადგურება-მოსპობისაგან და შევასრულებთ თავის მოვალეობას ქვეყნის და მშრომელი ხალხის წინაშე.

ფ. მახარაძე.

---

*) „სოფლის მუშა". №№ 27 9, 30 და 31.

ამიერ-კავკასიის რევოლიუციონური ახალგაზრდობის ყრილობის მნიშვნელობა

ამ დღეებში ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ ცენტრში, ტფილისში დაამთავრა მუშაობა ამიერ კავკასიის კომუნისტური ახალგაზრდობის მეორე ყრილობამ.

ეს ყრილობა და მისი შედეგები, არის უდიდესი ფაქტი ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამაგრების და კომუნისტურ პარტიის საგრძნობი განვითარების, რეალური შეფასება, მიუდგომელი ანალიზი ამიერ-კავკასიის მშრომელი ახალგაზრდობის მეორე ყრილობისა უეჭველად აღნიშნავს მრავალთა შორის განსაკუთრებით ერთს უდაო ჭეშმარიტებას, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი თავიანთი მრავალგვარი ნაციონალურ ერთეულობით, თავიანთი ძლიერ განსხვავებული ზნით, ჩვეულებით, კულტურულ პოლიტიკურ შეგნებით და ეკონომიური სხვა და სხვაობით, შეჭრა ახალგაზრდობაში და რაც მთავარია ახალგაზრდობის მუშურ-გლეხურ ნაწილში, დაბეჩავებულ მასაში, გავრცელება იქ კომუნისტური იდეების, შექმნა კავშირების ორგანიზაციების და შემდეგ შეთანხმება, მათი დარაზმვა პროლეტარიატის მისწრაფებათა დასაგვირგვინებლად და დასამსხვრევად ყოველივე იმისი რაიც ბოჭავდა მთელი საუკუნოების განმავლობაში მათი გონებას, მათ სულს— არის გიგანტიური წინსვლის ნიშანი.

ამიერ-კავკასია მეორე ბალკანეთიაო და ეს სავსებით სიმართლეა. ამიერ კავკასია—ეს მეორე კიდევ არა სავსებით დაუმსხვრეველი ბასტიონია ურთი-ერთ შორის სიძულვილის, დაუსრულებელი ნაციონალური ომების და კაცი ჭამია შოვინიზმის.

ბალკანეთმა თავისი აჭრელებული მოსახლეობით შექმნა ის კვანძი, რომელმაც არა ერთხელ შეიტანა უსაშინელესი პერტურბაცია, დისონანსი საერთაშორისო მშვიდობიანობაში და განსაკუთრებული ისტორია შექმნა ბალკანეთის პრობლემის. მხოლოდ ამიერ კავკასიის შორეულ წარსულსაც რომ არ მივაქციოთ ყურადღება, სულ 3—4 წლის ისტორია, ისტორია სამწუხაროთ რევოლიუციონური პერიოდის ბალკანეთის ამბების უტყუარი ილიუსტრაციას იძლევა. 3 წლის ბატონობა დაშნაკელების, მენშევიკების და მუსავატელების ამიერ-კავკასიაში: ეს იყო ბატონობა ამიერ-კავკასიის კონსტანტინეების, სტამბულსკების და ენვერების.

ამიტომ ყველასათვის ცნობილია ის ატმოსფერა, რომელშიაც მოუხდა არსებობა ამ ორი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებას, დაუცხრომელი მუშაობა კომუნისტურ პარტიას. არა ნაკლებ გასაოცარია ის მუშაობა, რომელიც იქნა გაწეული ამიერ კავკასიის ახალგაზრდობაში, რელიგიოზიური ფანატიზმით და ურეცხებით შეპყრობილთა შორის მათი კომუნისტურ კავშირში დასარაზმავად, სინათლეზე გამოსაყვანათ. ამიერ კავკასიის პროლეტარულ და მშრომელი გლეხურ ახალგაზრდობაში მუშაობას უდიდესი ყურადღება მიექცა ეს ოთხი წელიწადია და დღესაც დიდი ყურადღება ექცევა ვინაიდან აღმოსავლეთში კოლონიალურ მონობისაგან გამოფხიზლებულ მასების სწორ გზაზე დაყენება, გამარჯვება პროლეტარულ რევოლიუციის დიდათ დამოკიდებულია იმ ხელმძღვანელობისაგან, რომელიც აუცილებლათ უნდა გაუწიოს ამიერ-კავკასიამ, როგორც ავანგარდმა აზიურ ქვეყნებისამ.

დღევანდელი ვითარება საბჭოთა ხელისუფლების, ბრძოლა კომუნისტური პარტიის და ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის იძლევა ზემოხსენებულის სავსებით გამართლებულ პერსპექტივებს. მიუხედავად დაუძლეველ შოვინიზმის, ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ თვეებშივე ჩვენ შევსძელით, მისი გადალახვა, დაძლევა დაუძლეველ წინააღმდეგობათა და შევქმენით ინტერნაციონალური კავშირი ამიერ-კავკასიის მშრომელი ახალგაზრდობის. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ ხანაში ეს პირველი მერცხალი იყო ინტერნაციონალიზმის გამარჯვების და შოვინიზმის დამარცხების. გასული წლის პირველი ყრილობა ბაქოში ამიერ კავკასიის კომუნისტურ ახალგაზრდობისა, იყო მძლავრი ინტერნაციონალური დემონსტრაცია ერთ დროს გათიშულ საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის მშრომელი ახალგაზრდობისა.

მეორე ყრილობა უფრო მნიშვნელოვანი, სერიოზული საქმით დაინტერესებული და ბევრად შინაარსიანი შეიქმა. რევოლიუციონური მოძრაობის მეორე ცენტრში შეკრებულმა ამიერ კავკასიის მეორე ყრილობამ გაამართლა ის იმედები, რომელსაც ამყარებდა მასზე საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია.

მეორე ყრილობამ სცნო რა ერთსულოვანათ აუცილებლად, კიდევ მეტი გამაგრება, გაძლიერება მთლიანი ფრონტის ამიერ კავკასიის მრავალ ეროვნებათა კომუნისტური ახალგაზრდობის, მან დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებათა კომკავშირის შემდეგი ზრდის, მისი ყოველ მხრივი განვითარების და ამიერ-კავკასიის მთელი ახალგაზრდობის დაპყრობისათვის, მათზე კომუნისტური გავლენის გასავრცელებლათ და საბოლოოთ ჩამოშორების ახალგაზრდობის ოპორტუნისტულ—შოვინისტურ ორგანიზაციებისათვის რომლებიც ყრილობის თქმით ითვლებიან ლვარძლათ ამიერ კავკასიის მშრომელი ახალგაზრდობის მოძრაობაში.

ახალგაზრდა „მარქ სისტები" საქართველოში, მიუტიუნი სომხეთში და ახალგაზრდა მუსავატები აზერბაიჯანში, ესენი დღესაც ითვლებიან ხელის შემშლელ ელემენტებათ, იმ მასსათ, რომელნიც რყვნიან ახალგაზრდობას, იმ მასსათ, რომელთაც შერჩენია ჯერ კიდევ გავლენა მხოლოდ და მხოლოდ წვრილ ბურჟუაზიულ ინტელიგენტურ ახალგაზრდობაში და მთელ თავისი სულით მთელი თავისი გონებით მშრომელთა ხელისუფლებისადმი საწინააღმდეგო მიზნებით არიან გამსჭვალული. ჩვენ შევსძელით უმთავრესი მასსის, უმნიშვნელოვანესი ნაწილის სახელდობრ პროლეტარული და უღარიბესი გლეხური ახალგაზრდობის ჩამოშორება მათგან, იზოლიაცია კონტრ-რევოლიუციონურ ახალგაზრდობისაგან, დაყენება ამ ახალგაზრდობის სწორ გზაზე, მაგრამ როგორც ეს აღიარა ყრილობამ, საჭიროა კიდევ დიდი მუშაობა, საქმიანი ბრძოლა, რათა ეს უკანასკნელი პოზიცია, გავლენა ოპორტუნიზმის და გამხრწნელი შოვინიზმის, ახალგაზრდობის მეორე ნაწილშიაც აღკვეცილი იქნას. საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა ძლიერ ხელსაყრელ პირობებს იძლევა ამ ამოცანების შესასრულებლად და ამიტომ საჭიროა ისეთი მუშაობის გაწევა, რათა მესამე ყრილობისათვის შესაძლებელი შეიქნეს თქმა, რომ თუ მთლად არა სანახევროთ ეს ამოცანა შესრულებულია, რომ იმედები კომუნისტური პარტიის გამართლებულია.

ამიტომ კავკასიის მეორე ყრილობას და მის დადგენილებებს აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა.

ახალგაზრდათა კომინტერნის წარმომადგენელს, რომელიც იღებდა მონაწილეობას ყრილობის მუშაობაში შეუძლია თამამად გადასცეს ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაციების შტაბს, რომ ამიერ-კავკასიაში არ არსებობს კომკავშირის გარდა სხვა არავითარი ორგანიზაცია ახალგაზრდობისა, რომელსაც კი შეეძლოს ლაპარაკი გინდ საქართველოს გინდ სომხეთის ან აზერბეიჯანის ახალგაზრდა მუშების და ღარიბი გლეხების სახელით. დაე ახალგაზრდობათა მე-2 და 2 ნახ. ინტერნაციონალმა იცოდეს, რომ ამიერ კავკასიის პროლეტარული ახალგაზრდობას არავითარი საერთო არ აქვს ოპორტუნიზმთან, რომ ის აღიარებს მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდათა კომინტერნს, როგორც ერთ-ერთს დამცველს მშრომელი ახალგაზრდობის ინტერესებისას.

დ. ბ.

რადიო-დეპეშები

კომინტერნის 4 კონგრესი

მოსკოვი, 24 სექტ. კომინტერნის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა 4 კონგრესის დღის წესრიგი: 1) აღმასკომის მოხსენება კომინტერნის მომავალ ტაქტიკის შესახებ—მომხსენებელი ზინოვიევი, 2) რუსეთის რევოლიუციის 5 წლის თავი და მსოფლიო რევოლიუციის პერსპექტივები—მთავარ მომხსენებლად გამოვა ამხ. ლენინი, თანამომხსენებლად ტროცკი, კამენი და სხვები; 3) კაპიტალის შემოტევა—მთავარი მომხსენებელი რადეკი, 4) მთელი რიგი სხვა საკითხებისა.

ახლო აღმოსავლეთის ამბები

ანტანტის ნოტა ანგორის მთავრობისადმი.

ბორდო, 24 სექტემბერი (რადიო). მოკავშირე მთავრობების ნოტა ოსმალეთისადმი: „სამი მოკავშირე მთავრობა თხოვენ დიდი ეროვნული კრების მთავრობას აცნობოს მათ, აქვს თუ არა მას სურვილი დაუყონებლივ გაგზავნოს ერთი სრულუფლებიანი წარმომადგენელი კრებაზე, რომელიც შესდგება ვენეციაში ან სხვა ადგილას, და რომელზედაც აგრედვე მოწვეულ იქნებიან ოსმალეთის წარმომადგენლებთან ერთად დიდი-ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, რუმინიის, სამხრეთ-სლავიის და საბერძნეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლები. კრება შესდგება მაშინათვე მას შემდეგ, როცა დაინტერესებულ სახელმწიფოების მიერ მოხდენილ იქნება საჭირო განკარგულებანი. კონფერენციის მიზანი იქნება საბოლოო სამშვიდობო ხელშეკრულების განხილვა და დადება ოსმალეთსა, საბერძნეთსა და მოკავშირე სახელმწიფოებ შორის. სამი მოკავშირე მთავრობა სარგებლობენ ამ შემთხვევით, რათა განაცხადონ, რომ ისინი კეთილგანწყობილად უყურებენ ოსმალეთის სურვილს— კვლავ დაიკავოს ფრაკია მარიცამდე და ადრიანოპოლი. იმ პირობით, რომ ანგორის მთავრობა არ გაგზავნის თავის არმიას დროებითი ნეიტრალურ ზონებში სამშვიდობო მოლაპარაკების დროს, სამი მოკავშირე მთავრობა ხალისით დაუჭერენ მხარს კონფერენციაზე ოსმალეთის ამ საზღვრების დაწესებას, ამასთან დაადგენენ, რომ ხელშეკრულებაში საერთო თანხმობით მოხსენებული იქნება ზომები ოსმალეთის და მისი მეზობლების ინტერესების დასაცავად, ზოგიერთი ზონის დემილიტარიზაციის მიზნით, მშვიდობიანობის დასაცავად და რეგულიარული წესრიგის და ოსმალეთის ავტორიტეტის აღადგენად და, ბოლოს, რათა ნამდვილად განხორციელდეს, ხალხთა ლიგის ხელმძღვანელობით, დარდანელის, მარმარილოს ზღვის და ბოსფორის თავისუფლება, და რათა აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას რასიულ და სარწმუნოებრივ უმცირესობათა უფლებების დაცვა. სამი მთავრობა, დაბოლოს, ხალისით დაუჭერენ მხარს ოსმალეთის მიღებას ხალხთა ლიგაში. ისინი სავსებით თანახმანი არიან ერთმანეთ ორის, რათა ისევ განმეორონ უკვე მარტში გაკეთებული განცხადება, რომ მოკავშირეთა ჯარები გაყვანილ იქნებიან სტამბოლიდან მაშინათვე, როცა ხელშეკრულება შევა ძალაში. სამი მოკავშირე მთავრობა მოახმარენ თავის გავლენას, რათა კონფერენციაზე ოსმალების მოსვლამდე საბერძნეთის ჯარები გადაყვანილ იქნენ იმ ხაზზე, რომელიც დაწესებული იქნება მოკავშირე გენერლების მიერ ოსმალების და ბერძნების სამხედრო ხელისუფლებასთან შეთანხმებით. ამ შუამავლობის სამაგიეროდ ანგორის მთავრობამ უნდა მიიღოს ვალდებულება, რომ არც კონფერენციამდე, არც მის განმავლობაში არ გაგზავნის ჯარებს ზონებში, რომელნიც წინასწარ გამოცხადებულია ნეიტრალურად. და მიიღებს ვალდებულებას, რომ არ გადავა სრუტეებზე და მარმარილოს ზღვაზე. შემდეგ, რათა დაწესდეს ხაზი, რომლის შესახებ ნათქვამი იყო ზევით, შესაძლებელი იქნებოდა დაუყონებლივ თათბირის გამართვა ქემალსა და მოკავშირე გენერალებს შორის მუდანიაში ან იზმიდში. მოკავშირე მთავრობები დარწმუნებული არიან, რომ მათი მოწოდება არ დარჩება უყურადღებოდ და რომ მათ ექნებათ შესაძლებლობა ითანამშრომლონ ოსმალეთთან, როგორც სხვა თავის მოკავშირეებთან, მშვიდობიანობის აღსადგენად, რომელსაც მოწყურებულია მთელი კულტურული კაცობრიობა.

პარიზი. 1922 წელი, 23 სექტემბერი. ხელმოწერილია: **პუანკარე, კერზონი, ფონ კელენტონი, სფორცა"** (კავროსტა).

ამერიკა და ახლო აღმოსავლეთის საკითხი.

ნაუენი. 23 სექტ. ამერიკული გაზეთები მთელ პასუხისმგებლობას აკისრებენ ანტანტას ახლო აღმოსავლეთის კრიზისის გამო, განსაკუთრებით ამ კრიზისს სთვლიან ანტანტის იმპერიალიზმის შედეგად.

საფრანგეთის კაბინეთის სხდომაზე.

ბორდო. 23 სექტ. პარასკევს დილით პარიზში მინისტრთა საბჭოს სხდომაზე პუანკარემ აცნობა კაბინეთის წევრებს ინგლისის და იტალიის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების შესახებ.

ინგლისის კომისიის წინადადება კონსტანტინოპოლში.

ჰანოვერი. 23 სექტ. კონსტანტინოპოლში მყოფმა კომისიამ გაუგზავნა ლოიდ ჯორჯის მემორანდუმი, რომელშიაც კომისია მოითხოვს ოსმალეთისათვის ადრიანოპოლის და აღმოსავლეთ ფრაკიის გადაცემას. დასავლეთ ფრაკია, კომისიის წინადადებით, უნდა იქნეს ავტონომიურად გამოცხადებული და შევიდეს ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ.

რუმინია და სამხრეთ-სლავია წინააღმდეგი არიან ოსმალეთისათვის ადრიანოპოლის დაბრუნებისა.

ჰანოვერი. 23 სექტ. ბელგრადიდან მიღებულ ცნობების თანახმად რუმინია და სამხრეთ-სლავია წინააღმდეგნი არიან ოსმალეთისათვის ადრიანოპოლის გადაცემისა.

საკითხი სამშვიდობო კონფერენციის შესახებ.

ბორდო. 23 სექტ. ოსმალეთი იქნება მიწვეული მუდანიაში საზავო მოლაპარაკების საწარმოებლად. ამის შემდეგ დაუყონებლივ დაიწყება სამშვიდობო კონფერენცია ვენეციაში ან სხვა ადგილას. როგორც სჩანს სახელმწიფოების უმრავლესობა მხარს დაუჭერენ ოსმალეთის სუვერენიტეტის დამყარებას ფრაკიაში ერთა ლიგის კონტროლის ქვეშ. კონსტანტინოპოლი დაუბრუნდება სულთანს. დარდანელის და მარმარილოს ზღვის ორივე ნაპირი უნდა იქნეს განიარაღებული. მოკავშირეები განახორციელებენ კონტროლს ნეიტრალიტეტის დასაცავად.

ფრანკლინ-ბუიონის მისია.

ბორდო. 23 სექტემბერი. დღის სხდომაზე პუანკარემ განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს გაგზავნოს სმირნაში ქემალ-ფაშასთან ფრანკლინ ბუიონი—თათბირმა მოიწონა ეს წინადადება.

ბორდო. 23 სექტემბერი. იტყობინებიან, რომ ფრანკლინ ბუიონი, რომელიც აწარმოებდა საფრანგეთ-ოსმალეთის შორის მოლაპარაკებას, მიემგზავრება ანგორაში.

ბორდო. 23 სექტემბერი. გაზეთები ხაზს უსვამენ ფრანკლინ ბუიონის მისიის ოფიციალობას ფრანკლინ-ბუიონი დღეს მიემგზავრება სმირნაში იტალიის და ინგლისის თანხმობით. საფრანგეთი ყოველ საშუალებას ხმარობს, რათა ოსმალეთი დაითანხმოს საზავო მოლაპარაკებაზე. თუ არავითარ ინციდენტებს ადგილი არ ექნა, საზავო მოლაპარაკება ახლო მომავალში დაიწყება. პრესა დღევანდელ დღეს გადამწყვეტ დღეთ სთვლის. გაზ. „ჟურნალი" იტყობინება, რომ პუანკარემ, კერზონმა და სფორცამ გუშინ სხდომის შემდეგ განაცხადეს, რომ იმედოვნებენ მიაღწევენ სრულ შეთანხმებას.

იტალიის კაბინეთში.

რომი 23 სექტ. კაბინეთის დღევანდელ სხდომაზე შანცერმა განაცხადა, რომ იტალიის პოლიტიკა უნდა იქნეს შეთანხმებული საფრანგეთის თვალსაზრისთან. კაბინეთმა დაადგინა განაგრძნოს წინანდელი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის საკითხში.

იტალიის სკეპტიციზმი.

რომი. 23 სექტ. იტალიაში დიდი სკეპტიციზმით უყურებენ პარიზის თათბირს. ვოლფის სააგენტოს ცნობით, ეჭვს გარეშეა, უარყოფილ უნდა იქნეს დიპლომატიურ წრეებიდან გამომდინარე ხმები ქემალ ფაშის სრუტეების გადაცემაზე თანხმობის შესახებ. ქემალ ფაშამ განუმარტა გენერალ პელლეს, რომ მას არ შეუძლია დათანხმდეს მოლაპარაკების ადგილად ვენეციის დანიშვნაზე. იტა-

ხუთშაბათს, 28 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში გაიმართება

საქ. პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1) დედობისა და ბავშვობის დაცვის შესახებ, 2) კომისიის მოხსენება მუშათა სახლების შეკეთების შესახებ, 3) პროფკავშირთა ბოსტნების შესახებ, 4) მიმდინარე საქმეები. საკითხების მნიშვნელოვანების გამო პლენუმის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

(3—1) **საქ. პროფკავშირთა საბჭოს მდივანი.**

ლიიდან მიღებულ ცნობებით ქემალ ფაშამ ამგვარივე განცხადებით მიმართა იტალიას, რომლის სამხედრო წრეებში დარწმუნებული არიან, რომ ინგლისის ფლოტს უკეთეს შემთხვევაში შეუძლია მხოლოდ საწილობრივ აჩეროს ოსმალეთის ჯარების მოძრაობა დასავლეთით.

ახლო აღმოსავლეთის კონფერენცია.

მოსკოვი. 24 სექტ. კონსტანტინოპოლში დიდი ნერვიულობაა ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციის გამო. დადის ხმები, რომ კონფერენციაზე დაესწრება ამერიკის არაოფიციალური წარმომადგენელი.

— საკითხი ახლო-აღმოსავლეთის კონფლიქტში რუსეთის ხელის შესახებ, იპყრობს დიდ ყურადღებას. გაზ. „მანჩესტერ გარდინგი“ აქცევს ყურადღებას ამ როლს და აღნიშნავს, რომ უაზრობა იქნება კონფერენციის მოწვევა რუსეთის გარეშე. რუსეთი უფრო მეტად არის დაინტერესებული სრუტეების საკითხით, ვიდრე სხვა სახელმწიფოები.

ფრაკია.

მოსკოვი, 24 სექტ. კონსტანტინოპოლში დარწმუნებულნი არიან, რომ თუ ოსმალეთის ნაციონალური მისწრაფებანი ფრაკიის საკითხში არ იქნება დაკმაყოფილებული, ანგორის მთავთობა ადარ იქნება პასუხისმგებელი შესაძლებელ შედეგებისათვის.

— ანგორის მთავრობის წარმომადგენელმა კონსტანტინოპოლში არწმუნა მოკავშირე ძალების მთავარსარდალს, რომ ოსმალეთს განზრახული აქვს დაიკავოს დარდანელი, რათა ბოლო მოუღოს ბერძნების სიმხეცეს ფრაკიაში.

— რათა თავიდან იქნეს აცილებული სრუტეების ძალით დაკავება ინგლისის წარმომადგენელმა წინადადება მისცა მოკავშირეებს დაუბრუნონ ოსმალეთს ფრაკია.

— ქემალის ნოტაში, რომელიც გაეგზავნა მოკავშირეებს, აღნიშნულია, რომ ანგორა მოსთხოვს მოკავშირეებს ოსმალეთის ჯარებს ფრაკიაში, რათა გაწმენდილ იქნას იგი ბერძნების ჯარებისაგან.

— ინგლისის კაბინეთმა დაადგინა არ დასცალოს ფრაკია, სანამ ქემალი არ მისცემს მოკავშირეებს გარანტიას კეთილ განზრახვის შესახებ.

ინგლისი და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა.

მოსკოვი, 24 სექტ. ინდოეთის საკანონმდებლო ყრილობის წევრთა დეპუტაციამ გადასცა ვიცე-კონსულს დეკლარაცია, რომელშიაც იგი პროტესტს აცხადებს ინგლისის პოლიტიკის წინაალმდეგ ახლო აღმოსავლეთის საკითხში.

— ლოიდ ჯორჯმა მიიღო კონგრესის დეპუტაცია (გამოტოვებულია)... პრემიერმა არწმუნა დეპუტატებს, რომ მთავრობას აქვს მშვიდობიანი განზრახვა, მაგრამ ამავე დროს განცხადა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა დაიცვას სრუტეები იარაღით ხელში.

— კონსტანტინოპოლში ჩავიდა ინგლიის დამხმარე ძალები.

ახალი რეზიდენცია.

მოსკოვი, 24 სექტემბ. ოსმალეთის ნაციონალურმა ყრილობამ გადასწყვიტა გადაიტანოს თავისი რეზიდენცია სმირნაში.

მოკავშირენი და ოსმალეთ ბერძნების კონფლიქტი.

მოსკოვი. 24 სექტ. ინგლისის პრესის ცნობით, მოკავშირეების დარჩენა სტამბოლში გამოიწვევს სამღვთო ომს. მაგრამ ინგლისის მთავრობა არ ფიქრობს ჯარების გამოყვანას ჩანაკიდან და სურს იარაღით ხელში მოიგერიოს ოსმალეთის თავდასხმა.

— ინგლისის გადაწყვეტილებამ— დასტოვოს ჯარები ჩანაკში—გლახა შთაბეჭდილება დატოვა საფრანგეთზე და იტალიაზე. საფრანგეთი მზად არის გამოიყენოს თავისი გავლენა ქემალზე, თუ კი ინგლისი მისცემს ოსმალეთის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ფართო გარანტიას მომავალ კონფერენციაზე.

— პარიზში გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა ჩანაკში მოკავშირეთა გარნიზონებში არსებულ უთანხმოების შესახებ. იტალიამ და საფრანგეთმა გამოსთქვეს აზრი ჯარების ჩანაკში დატოვების წინაალმდეგ.

— საფრანგეთმა წინადადება მისცა ინგლისს გაიყვანოს ჯარები ჩანაკიდან იმ შემთხვევაში, თუ კი ქემალი უარს იტყვის დარდანელის აღებაზე საზავო კონფერენციის დადგენილებამდე.

— პუანკარემ განუცხადა ჟურნალისტებს, რომ მოლაპარაკება სწარმოებს განსაკუთრებით ჩანაკის საკითხის ირგვლივ. ,,თუ კი ოსმალეთს წარუდგენთ მისაღებ პირობებს, ქემალი დათანხმდება ხელი მოაწეროს დროებით ზავს. საკითხი ფრაკიის შესახებ, როგორც სჩანს, გადაწყვეტილია, ვინაიდან რუმინია არაა წინააღმდეგი ბულგარეთ ოსმალეთის საზღვრის აღდგენის“.

სრუტეები

მოსკოვი. 24 სექტემბერი. მშფოთვარე მდგომარეობა ლონდონში ცოტათი დაცხრა მის შემდეგ, რაც პარიზიდან მიღებულ იქნა ცნობა, რომელიც უარყოფს ქემალის დარდანელის აღების განზრახვას.

საფრანგეთის პრესამ გამოაქვეყნა აგრეთვე ოსმალეთის პრესის ბიუროს ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ ოსმალეთი მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება სრუტეების თავისუფლების შესახებ.

„მანჩესტერ გარდიენს“ მიაჩნია ეს ცნობები კრიზისის ლიკვიდაციად. სხვა გაზეთებიც მშვიდობიან ტონზე სწერენ და აღნიშნავენ, თუ კი ქემალი თავს დაიჭერს სრუტეებზე თავდასხმისაგან, ამით იგი წინასწარ სცნობს სრუტეებს თავისუფლად. ამ რიგად, გაზეთის აზრით, გზა კონფერენციისაკენ გახსნილია, ვინაიდან საკითხი სტამბოლის შესახებ არ წარმოადგენს დიდ დაბრკოლებას. ინგლისელებს არ სურთ სტამბოლში ერთი დღით დარჩენა.

— ქემალმა გაუგზავნა მოკავშირეებს ნოტა სრუტეების შესახებ საკითხების მოსაგვარებლად კონფერენციის მოთხოვნილებით.

ერთა ლიგის შუამავლობა.

მოსკოვი. 24 სექტემბერი. კანადის, ავსტრალიის, და ახალ ზელანდიის მიკრობებმა მიანდევს თავიანთ წარმომადგენლებს ერთა ლიგაში მხარი დაუჭირონ ნანსენის წინადადებას ოსმალეთის კონფლიქტში ერთა ლიგის შუამავლობის შესახებ.

მცირე ანტანტა და ერთა ლიგა.

მოსკოვი. 24 სექტემბერი. საფრანგეთის ოფიციალურ წრეებში დარწმუნებულნი არიან მცირე ანტანტის სოლიდარობაში საფრანგეთთან ახლო-აღმოსავლეთის ამბების გამო.

ფრაკიის ევაკუაცია.

მოსკოვი. 24 სექტ რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ოსმალეთს განზრახვა აქვს გაუგზავნოს მოკავშირეებს და ბერძნებს ნოტა ფრაკიის ბერძნებისაგან დაუყონებლივ დაცლის შესახებ.

დარდანელთან.

ბორდო. 23 სექტ. საფრანგეთის და იტალიის ჯარის ნაწილებმა სრულიად დასცალეს დარდანელის აზიური ნაპირი. ინგლისის ძალებს ჩანაკაში მოსდით დამხმარე ნაწილები.

ამერიკა.

ჰანოვერი. 23 სექ. „ნიუიორკ ტრიბუნ“-ი იტყობინება გარდინგის გადაწყვეტილების შესახებ მოიწვიოს ვაშინგტონში მომავალ წელს ეკონომიური კონფერენცია.

ერთა ლიგა და აღმოსავლეთის საკითხი.

ბორდო. 23 სექტ. ჟენევაში ერთა ლიგის პოლიტიკურმა კომისიამ განიხილა საკითხი, ჩაერიოს თუ არა ერთა ლიგამ აღმოსავლეთის საკითხის მოწესრიგებაში. ხანგრძლივი კამათის შემდეგ გამოხატულია ერთსულოვანი სურვილი, რათა შეჩერებულ იქნეს სამხედრო მოქმედებები, მაგრამ ამასთანავე ერთად დადგენილია, რომ ერთა ლიგა სრულიად არ ჩაერევა კონფლიქტის საქმეებში.

იტალიის განწყობილება.

რომი. 24 სექტ, იტალიის პოლიტიკური წრეები აშკარად გამოხატავენ სრულ კმაყოფილებას იტალიის პოზიციით. ისინი ესალმებიან გამარჯვებას ოსმალეთის აღდგენის საკითხში. ამით იტალია თავიდან იცილებს ხმელთა შუა ზღვაზე საბერძნეთის კონკურენციას. ოსმალეთის დაბრუნებას დიდ სახელმწიფოთა რიცხვში აქ აწერენ მხოლოდ იტალიას, განსაკუთრებით კი სფორცას და შანცრს. რაც შეეხება ინგლისის როლს ყველა ჯგუფები გამოხატავენ აღშფოთებას. ნაციონალისტური და ფაშისტების პარტიები უკვე დიდი ხანია აწარმოებენ კამპანიას ახლო აღმოსავლეთში საბერძნეთთან ერთად ინგლისის მიერ წარმოებულ პოლიტიკის წინაალმდეგ. ამგვარად აღმოსავლეთის საკითხში მოხდა საფრანგეთის და იტალიის დაახლოვება, რომლის დასაწყისი ირკვეოდა ჯერ კიდევ ფრანკო ფილური პოზიციის დროს. ამ მხრივ საგულისხმოა რომის გავლენიანი წრეების კომენტარიები, რომლებიც „მესაჯეროს“ ფურცლებზე გამოსთქვამენ კმაყოფილებას მით, რომ ინგლისი იძულებულია პირველად თავი მოიხაროს საფრანგეთის და იტალიის გაერთიანებულ ნებისყოფის წინაშე.

ქემალ ფაშის განცხადება.

ბორდო. 24 სექტ. რეიტერის სააგენტო იტყობინება კონსტანტინეპოლიდან, რომ ქემალ ფაშა მზად არის პატივით მოეპყრას ნეიტრალურ ზონებს იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირეთა ძალები გაშვებულ იქნებიან და ოსმალების პრეტენზიებს, მათ რიცხვში ფრაკიის შესახებ და მარიცის წყალის საზღვრების შესახებ, მოკავშირები სამართლიანად სცნობენ.

პარიზის კონფერენცია

ნაუენი. 24 სექტემბერი. პუანკარეს, კერზონის და სფორცის მოლაპარაკება ჯერ კიდევ სრული შეთანხმებით არ დამთავრებულა; თუმცა კერზონმა მიიღო საფრანგეთის მოთხოვნილება და დაეთანხმა, რომ კონსტანტინეპოლი დაუბრუნდეს ოსმალეთს. მაგრამ ეს გარემოება კიდევ არ სწყვეტს სადაო საკითხებს, სახელდობრ საკითხს თუ ვის უნდა მიეცეს კონტროლის უფლება დარდანელში თავისუფალი მიმოსვლის დასაცავად, ინგლისს, ოსმალეთს, თუ შავი ზღვის სხვა სახელმწიფოებს. აგრეთვე საფრანგეთი ითვალისწინებს, რომ ქემალ-ფაშა ვერ მიაღწევს თავის მიზანს. თუ ინგლისი გამოუცხადებს მას ომს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ინგლისი ბოლოს და ბოლოს გახდება კონსტანტინოპოლის ბატონ-პატრონი. საფრანგეთი ამიტომ სცდილობს გასწიოს შუამდგომლობა და დაარწმუნოს ინგლისი უარყოს უკიდურესი ზომები. ჯერ-ჯერობით ინგლისმა თავი მოუყარა დარდანელში და ბოსფორში თავის ხმელთა შუა ზღვის ესკადრას და კონტროლს უწევს ყველა გემების მიმოსვლას მარმარილოს ზღვაზე. საფრანგეთიც აგრეთვე ემზადება გაგზავნოს დამხმარე საზღვაო ძალები ახლო აღმოსავლეთში. ქემალ-ფაშა აგროვებს თავის ჯარებს იზმიდთან, რათა მზად იყოს მოქმედებისათვის, თუ პარიზის კონფერენცია არ მიიღებს ოსმალეთის მოთხოვნილებას.

ბორდო, 24 სექტ. პუანკარემ გაუკეთა მოხსენება მინისტრთა საბჭოს კერზონთან და სფორცთან მოლაპარაკების მდგომარეობის შესახებ და მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ ოსმალეთი მოწვეულია კონფერენციაზე ქემალ-ფაშას და მოკავშირე გენერლების შორის, საზღვაო პირობების გამოსამუშავებლად. მოკავშირე მთავრობები დარწმუნებულნი არიან, რომ მათ მოწოდებას გამოეხმაურებიან და მათ საშუალება ექნებათ ითანამშრომლონ ოსმალეთთან მშვიდობიანობის დასამყარებლად, რომელსაც მოელის მთელი კულტურული კაცობრიობა.

ბორდო, 24 სექტ. საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის კოლექტიურ ნოტაში ნათქვამია არა მარტო ოსმალეთის მოწვევის, არამედ იმ დაკმაყოფილებათა საფუძვლების შესახებ. ის შთაბეჭდილებანი, რომელიც მიიღეს პარიზის ოტტომანის წრეებისაგან, ბადებს იმედს, რომ ანგორის ხელმძღვანელები დაკმაყოფილდებიან იმ ცვლილებებით, რომელიც განზრახული აქვთ შეიტანონ სევრის ხელშეკრულებაში და კონფლიქტი საბოლოვოდ იქნება თავიდან აშორებული, თუ ქემალისტები გამოიჩენენ აზრიან ზომიერებას.

ბორდო. 24 სექტ. საფრანგეთის პოლიტიკური წრეები გამოსთქვამენ კმაყოფილებას 3 დღის მოლაპარაკების გამო და გუშინდელ დღეს სასურველ დღეთ სთვლიან, როგორც ზავის საკითხისათვის, ისე მოკავშირეთა პრესტიჟისათვის. გაზ. „გოლუა“ ამბობს: იმისათვის რომ გუშინდელმა გადაწყვეტილებამ გამოიღოს რაიმე ნაყოფი, ქემალმა უნდა მიიღოს თათბირის გადაწყვეტილების მუხლები, ხოლო დიდმა ბრიტანეთმა შეუთანხმოს თავისი მოქმედება იმ დადგენილებას, რომელსაც მან ხელი მოაწერა. ფრანკლინ ბუიონი შესძლებს დაარწმუნოს ქემალისტები, რომ მოკავშირეთა პირობების მიღება შეადგენს ოსმალეთის ინტერესებს, იმიტომ რომ, თუ იგი წამოაყენებს ახალ მოთხოვნილებებს, მაშინ საფრანგეთი და იტალია იძულებული იქნებიან ხელი აიღონ დახმარებაზე. თუ ქემალს არ ექნება საშუალება გაემგზავროს ვენეციაში, მაშინ კონფერენცია იქნება მოწვეული როდოსში.

ბორდო. 24 სექტემბერი. საფრანგეთის გაზეთები კმაყოფილებით აღნიშნავენ იმ გამარჯვებას რომელიც მიღწეული იქნა პარასკევს პუანკარეს—კერზონი და სფორცის მოლაპარაკების დროს. გაზ. ,,პტი-ჟურნალი“ ამბობს, რომ მრავალ მუხლებში წინააღმდეგობა აღარ არის საფრანგეთსა იტალიასა და ინგლისს შორის, ჯერ გამორკვეული არ არის გაეგზავნება საერთო ნოტა ოსმალეთს, თუ გაეგზავნება ცალ-ცალკე ნოტა თვითეულ მთავრობისაგან.

კროიდონი. 24 სექტემბერი. გუშინ 4 საათზე კერზონი, პუანკარე და სულორტი შეიკრიბენ გარეშე საქმეთა სამინისტროში სამშვიდობო კონფერენციაზე ოსმალეთის მოწვევის რედაქციის შესამუშავებლად. დაბრკოლებები სათანადო ფორმის შემონახვისა იმდენად დიდი იყო, რომ თათბირი გადაიდო. თათბირი ხელახლა შეიკრიბება დღეს.

მესოპოტამიაში

აჯანყება მესოპოტამიაში.

ჰანოვერი. 24 სექტ. **სამხრეთ მესოპოტამიაში დაიწყო აჯანყება. აჯანყებულთა წარმომადგენელმა აბდულ კერიმ ბეიმ ინგლისს ომი გამოუცხადა. ირაკაში ინგლისის ჯარებს გარს შემოერტყა აჯანყებულები. მოსულში სწარმოებს მზადება ინგლისის ჯარების ევაკუაციისათვის.**

საალყო წესები.

ჰანოვერი. 24 სექტ. საბერძნეთის მთავრობამ გამოაცხადა მაკედონიაში და ეგეის ზღვის კუნძულებზე საალყო წესები.

სამხედრო მოქმედება

მოსკოვი. 24 სექტემბერი. კონსტანტინეპოლში დადის ხმები ქემალისტების ნეიტრალურ ზონაზე შეტევის შესახებ.

ოსმალების შეტევა

რომი. 23 სექტემბერი. იტალიიდან და საფრანგეთიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ოსმალეთის ჯარები ჯგუფდებიან ჩანაკეში ევროპის ტერიტორიაზე გადასასვლელად, მიუხედავად იმისა, რომ იქ ამ ჟამად სდგას ინგლისის ფლოტი.

ამხ. ფრუნზე ოსმალეთ-საბერძნეთის კონფლიქტის შესახებ

ოსმალეთ-საბერძნეთის კონფლიქტის გამო ამხ. ფრუნზემ განაცხადა: ,,პოლიტიკური მნიშვნელობა ოსმალების მიერ სმირნას დაკავებისა კოლოსალურია, მაგრამ ამ ჟამად შეუძლებელია ამის გათვალისწინება მთელი სისრულით. ამ ფაქტის პირველი შედეგია ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობის ავტორიტეტის

ამაღლება მუსლიმანურ
თვალში.
დიან აფრიკიდან,
სოპოტამიიდან, სირიიდან
ვიპტიდან, საყოველთაო
აღფრთოვანებაზე ფართო
მანურ მასსებს შორის
წყობილების მაღალ აღტყენება
მალეთის იარაღის უკანასკნელ
მარჯვებებთან დაკავშირებით,
შეუწყობენ ხელს ანატოლიის
ტიკურ გავლენის განმტკიცებას.
ოსმალების გამარჯვება
ინგლისის მდგომარეობას,
მესოპოტამიას მთელი არაბუ
ლიობა აშკარად მტრულადაა
ბილი ინგლისისადმი. თვით ოსმალ
ხალხში ქემალისტების გამარ
გაუგონარი აღფრთოვანება
იწვია. ხალხი სავსებით უ
თავის მთავრობას და მას
ბას—მიაღწიოს სტამბოლის,
ნელის და აღმოსავლეთ ფრაკიის
რუნებას.
მე ღრმად ვარ დარწმუნებ
რომ სულ უახლოეს მომავალში
სტაფა ქემალი და მისი ნაციონა
რი მთავრობა მდგომარეობის ბა
პატრონად გახდებიან ამ პუნქტ
თუმცა სტამბოლის დაკავება სამ
რო თვალსაზრისით არ არი
საქმე, მაგრამ მე პირადად არა მ
რომ ქემალისტები ახლა
შეტევით სტამბოლზე. მე ვფიქ
რომ ისინი პირდაპირ მ
თვით სრუტებს და იქ
საკმაო შეიარაღებული ძალა
თან ერთად, ალბად გაძლიერებ
იქნება პარტიზანული მოქმედება
სოპოტამიის მიმართულებით,
დროულად ათასი სხვა და სხვა
შუალებით ქემალისტები შე
ბიან შექმნან აუტანელი
ბები საოკუპაციო აპარატის
ჯარების ნორმალურ მოქმედ
თვის სტამბოლში. ასეთი მდგომ
ობა ალბად გაგრძელდება მომ
კონფერენციამდე ახლო-აღმოსა
თის საქმეების შესახებ. ამ,
თისათვის აშკარად ხელსაყრელ მ
მარეობას შეიძლება მოყვეს
ლოდ დათმობა ანტანტის
და სტამბოლის დაბრუნება
მალეთისადმი. მცირე აზიაში
ტრიალებულ ამბებიდან გამ
ნარე შედეგები საბჭოთა
დერაციისათვის შეიძლება ჩა
ლოს სავსებით დადებითად. სრ
ბის გადასვლას მეგობრულ დი
ვნულ კრების მთავრობის ხელში
შეგვიძლია მივესალმოთ, უნდა
ფიქროთ, ოსმალეთის სახელ
ფოებრივობის სტამბოლში
ტანასთან ერთად, ჩვენი საბჭო
პოლიტიკური კავშირი ოსმალეთ
განვითარდება უფრო ფართ
შტაბით და ამით შეიქმნება ნი
ურთიერთი მეგობრობის გან
ცებლად
ჩვენი ამოცანა ამ ჟამად მდ
რეობს იმაში, რათა მოვემზადოთ
მალეთთან ურთიერთობის გან
რებისათვის. ამისათვის საჭირო

,,სმენავეხელების“ ნაციონალიზმი

რედაქციისაგან

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, საზღვარ-გარეთ გადახვეწილ თეთრგვარდიელ რუს ინტელიგენტების ერთ ნაწილში ერთგვარი გარდატეხა მოხდა. გაჩნდა ახალი ჯგუფი: „სმენოვეხილები“, რომლებიც ცნობენ საბჭოთა ხელისუფლებას და სხვადასხვაგვარი დახმარების აღთქმას გვაძლევენ ჩვენ, კომუნისტებს. რა პოლიტიკური რწმენის იყვნენ და დღესაც არიან ამ ჯგუფის წევრები? ესენია რუსეთის ბურჟუაზიის იდეოლოგები, ბურჟუაზიული ინტელიგენტები, რომლებმაც მოიარეს მსოფლიო კონტრ რევოლიუციის ყოველი კუთხე და, გამოსავალი რომ ვერ იპოვეს ვერსაიდან, დაუბრუნდნენ ისევ ან, უკეთ რომ ვთქვათ, იძულებული გახდენ შეურიგებოდენ რუსეთის დღევანდელ ვითარებას, მით უმეტეს, რომ დღევანდელ რუსეთში ისინი ხედავენ „ედინაია ნედელიმაია როსია“-ს. და მათი მუშაობაც რუსეთში სწორედ ამ „ედინაია ნედელიმაიას“ იდეის გამაგრება გაძლიერებისაკენაა მიქცეული.

ჩვენს ბევრ ჩამორჩენილ ამხანაგებს ჰკონიათ, რომ ისინი ვითომ უკვე გაკომუნისტდენ და სავსებით ეზიარენ ოქტომბრის დიად პროლეტარულ რევოლიუციას.

ამიტომ, რომ ეს აზრი გავფანტოთ და ნათელი წარმოდგენა მივსცეთ მათ ამ ჯგუფზე, საჭიროთ ვთვლით გადმოვბეჭდოთ უცვლელათ ,,რაბოჩაია მოსკვა“-ში (№ 176) მოთავსებული ამხ. ი. ბაევსკის წერილი მათ შესახებ, რომელიც ფარდას ხდის მათ ჭეშმარიტ ბუნებას და ამჟღავნებს იმ ნამდვილ სულისკვეთებას, რომლითაც გაჟღენთილი არიან ისინი, მიუხედავათ ფერისცვალებისა.

ერთ ფრონტათ—თავის ყველაზე უფრო საომარ ფრონტებიდან რევოლიუციონურ მარქსიზმს ყოველთვის ჰქონდა ანტინაციონალისტური ფრონტი. რა ნიღაბითაც არ უნდა გამოსულიყო ნაციონალიზმი, რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატია თავის მოვალეობათ თვლიდა ემხილა მთელი მისი რეაქციონერობა და არხიბურჟუაზიულობა. მუშათა ფართო მასების წინაშე დაუზოგველათ ამჟღავნებდენ ნაციონალიზმის ზოოლოგიურ ბუნებას, რომლის მთელი თვისება ყოველ ქვეყანაში მდგომარეობდა იმაში, რომ ნაციონალურათ დაენაწილებია გაყვლეფილი პროლეტარული მასები და განსაკუთრებული უფლებები მიენიჭებია თანამემამულე ბურჟუაზიისათვის მათი ყვლეფის საქმეში. ბურჟუაზიულ და წვრილ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს მუშათა კლასის პარტიები უპირდაპირებდენ პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს.

ველიკორუსეთის თუ რუსეთის ნაციონალიზმი სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირათ გამოდიოდა. მაგრამ გამოდიოდა რა ,,ახალ ტყავში“ ყველთვის, როდესაც კი უდგებოდა ხელისუფლებას სათავეში ახალი საზოგადოებრივი კლასი, ის ინარჩუნებდა ,,ისევ იმავე გულს“, ხოლო მიზანი კი ყოველთვის ერთი და იგივე ჰქონდა: პრივილეგიების შენარჩუნება რუსეთის მსხვილსა და წვრილ ბურჟუაზიისათვის.

1905 წ. შემდეგ სცენაზე რეაქციონერების ნაციონალიზმის ადგილი დაიკავა ლიბერალების (კადეტები და ოქტომბრისტები) ნაციონალიზმმა. განსხვავება მათ შორის არსებითად არც იმდენათ დიდი იყო. და თუ პირველი გუჩკოვებისა და რიაბუშინსკების მამა პაპურ უფლებებს იცავდა საკმაო ველურათ, უხეშათ და არაკულტურულათ (მოვიგონოთ პოლონელების, უკრაინელების, ფინელების, ებრაელების, სომხების და სხ. დევნა), მეორე ამავე მიზანს ემსახურებოდა უფრო ,,ზრდილობიანი“ გზით.

კადეტების ნაციონალ ლიბერალიზმი ღირსეულათ იცავდა პარლამენტარული ბონტონის წესებს, რომლებიც მიღებულია დასავლეთ-ევროპის ნაციონალ ლიბერალების პატიოსან საზოგადოებაში. იცავდა რა ვითომ ერთი მხრით, ,,ერთა კულტურულ თვითგამორკვევას“, ის, მეორე მხრით, მუდამ უფრთხოდა იმას, რომ ხალხთა მასებს ბრძოლის პროცესში სიტყვა არ ჩამოეგდოთ ,,პოლიტიკურ თვითგამორკვევაზე“. და მოწამე ვხდებოდით საშინელი სიტყვებისა ,,სახელმწიფოებრივობის დაშლაზე‘, ,,ისტორიულ საფუძვლებზე“, ,,ერთა პოლიტიკურ თვითგამორკვევის გრძელი ფორმულების ფრთხილათ მოპყრობაზე“. ნაციონალისტურ მომქმედ ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა კრუშევანისა და მარკოვი მეორეს კეტის მაგივრათ მატყუარა ბურჟუაზიული ფრაზა. განსაკუთრებით მოხერხებულათ ნაციონალ-ლიბერალიზმში გამოდიოდენ და დებატობდენ კადეტები.

ჩვენი წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიის წარმომადგენლები სახალხო სოციალისტ პეშეხონოვის სახით 1906 წ. მოგვევლინენ ახალი ნაციონალისტური ფერით: ნაციონალ დემოკრატებათ. 1917 წლამდის ეს ძალიან ძნელი გასარჩევი იყო. საუცხოვოთ აყვავდა სამოქალაქო ომის ეპოქაში ნაციონალ-დემოკრატიზმი თავისი ნაციონალისტური დარბევითა და ნაციონალისტური დევნით სადაც ხელისუფლების სათავეში იდგენ ესერები, პეტლიუროველი, ქართველი მენშევიკები და სხვა.

პ. პ ს. პოლონეთში ახლაც ნათელ სურათს იძლევა იმ ღრმათ დაცემისას, რომელიც მოელის ყველა დემოკრატიულ პარტიას, რომელსაც ნაციონალიზმი წარმოდგენილი აქვს, როგორც მომთმენიანი მოპყრობა ხალხთა მასების სოციალისტურ სულისკვეთებისათვის.

გვეგონა, რომ ხელისუფლების პროლეტარიატის ხელში გადასვლით ყოველი შესაძლებლობა და ყოველი ჩანასახიც კი ნაციონალიზმის გაჩენისათვის ამა თუ იმ ლეგალურ ფორმაში მოსპობილია. მაგრამ მოხერხებულია ჯერ კიდევ სავსებით არ დამარცხებული ბურჟუაზია და ასე ადვილად არ გაუშვებს ხელიდან ყველაზე უფრო საიმედო და ნაცად იარაღს. ამ იარაღს საკმაო დინჯათა და მოხერხებულად კიდევ შეუძლია ემსახუროს ბურჟუაზიას. და ნაციონალიზმიც მუშათა რუსეთში გვევლინება ახალი სახით, გამოდის, როგორც „ნაციონალ ბოლშევიზმი“.

„სმენავეხელობა“, რომელსაც სათავეში უდგას პროფ. კლიუჩნიკოვი, არის ნაციონალიზმი, რომელიც შეეგუა პროლეტარიატის, როგორც კლასის პოლიტიკურ უფროსობის ახალ პირობებს. „სმენოვეხელები“,—ისინი ამას არ მალავენ,—არა თუ არ არიან ინტერნაციონალისტები, არამედ სოციალისტებიც კი. ისინი ხორც-ხორცთაგანია მოლიბერალო ინტელიგენციისა, რომელიც იყო ნაციონალ-ლიბერალიზმი და ახალი სახით გამოდის ჩვენს წინაშე ჩვენი ძველი, ჯერ კიდევ კადეტების დროიდან, ნაცნობი.

ჯერ, იბრძოდენ რა ყველა ფრონტებზე საბჭოთა ხელისუფლების წინაალმდეგ, შემდეგ ისხდენ რა და მწარედ სტიროდენ პარიზის, ბერლინის და სოფიის ბაბილონის წყლის პირას, დღევანდელმა „სმენავეხელებმა“ ერთ მშვენიერ დილას გაიგეს, რომ რუსი პროლეტარიატი, რომელმაც პირველი მთელს მსოფლიოში დაიუფლა მტკიცედ ხელისუფლებას, შეუძლიან დააფასონ მათ ისეთ ძალათ, რომელიც ანხორციელებს განსაკუთრებულ ეროვნულ ამოცანას „დიდი რუსეთის“ სადიდებლად. გრანდიოზულ მუშაობას, რომელიც ჩაატარა რუსეთის პროლეტარიატმა, და გრანდიოზულ პერსპექტივებს, რომლებიც იხსნება მის წინაშე, როგორც ავანგარდს საერთაშორისო პროლეტარიატისას, არ შეეძლო არ მოეხდინა გავლენა პროფესორების და კონსერვებულ თავებზედაც კი.

ახალი აზრებით განათლებული ემიგრანტი შეუდგა მისთვის ჩვეულებრივ ხელობას. ისახება განსაკუთრებული ინტელიგენტურ ბოლშევიკური (მაგრამ არა პროლეტარული) იდეოლოგია.

ცნობენ საბჭოთა ხელისუფლებისა და ოქტომბრის რევოლიუციას (მადლობით ამისთვისაც!). გულში ხელის ცემით ცნობილობენ ინტელიგენტურ შეცდომებს, რომლებმაც ვერ შეამცნებინა და პირიქით კიდევაც ჩამოაცალა ისინი პროლეტარულ ოქტომბერს. გვგონია, ყველაფერი სასურველათ მიმდინარეობდა. მაგრამ „ძველი სიმღერა ახალ ხმაზეა“. და ახალ, მონანიებულ სიტყვებში იჭრება ძველი, დახავსებული, დიდი ხნის ნაცნობი ლეიტმოტივი. აქ ოქტომბრის რევოლიუციის „ისტორიულ ნაციონალური ამოცანების“ განხორციელებაც; ,,რუსეთის გაერთიანების ამოცანის მოხერხებულათ გადაჭრაც“; ,,განსაკუთრებული ისტორიული როლიც რუსეთის ზეკლასიური ინტელიგენციისა, რომლის ნაწილმა მოახდინა რუსეთის ოქტომბერი და ამ ჟამათ უძღვება წინ მთელს მსოფლიოში უდიდეს რევოლიუციას“, აქ ,,რუსეთის ხალხის განსაკუთრებული მისიაცაა“.

მართალია, არაა შორს ის დრო, როდესაც ჩვენ გავიგონებთ ,,სმენავეხელების“ ლაპარაკს ,,აღმოსავლეთიდან სინათლეზედაც“, და ,,მესამე რომზე“—მოსკოვზეც. ერთი სიტყვით სლავიანოფილურ ნაციონალისტობაზე.

და ეს დაიწყო უკვე. სულ უფრო და უფრო ეს ნაციონალისტური შხამი ფართოდ განვითარდება. ყველანი ისარგებლებენ ამ საქმეში: უნივერსიტეტის კათედრაც (საზღვარ გარეთელი და ჩვენი საკუთარი სმენავეხელები ,,უფლებით“ დაიჭერენ ახლა მთელ რიგ კათედრებს ჩვენს უნივერსიტეტებში), ლექციონური მოხსენებაცა და ,,სმენავეხელების“ გაზეთისა და ჟურნალის ფურცლებიც.

ოქტომბრის მიერ დაშავებული ინტელიგენტი (,,სმენავეხელები“ სულ ერთიანათ ინტელიგენტებისაგან შესდგება) წვრილ ბურჟუაზიული სულითა და ნაციონალისტური ზრახვებით იწყებს გონს მოსვლას. იმის მაგივრათ, რომ სრული სითავდაბლით, გახსნილი გულით, თავისი დანაშაულისა ისტორიული უსუსურობის შეგნებით მიდიოდეს პროლეტარულ კანოსაში, ის ცდილობს შევიდეს ამ კანოსაში ვითომდა როგორც გამარჯვებული. უდიდეს პროლეტარულ რევოლიუციაში ის დევს წვრილ ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ შინაარსს. „სმენავეხოლობა“ ეს საუცხოვო ილიუსტრაციაა წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენტურ ნაციონალიზმის შეგუებისა პროლეტარიატის პოლიტიკურ ბატონობასთან. „სმენავეხელობა“ შესაძლებელია მხოლოთ მანამ, სანამ მხოლოთ ერთ ქვეყანაშია მოქმედი პროლეტარიატი ხელისუფლების სათავეში. ვინაიდან, როგორც კი გაიმარჯვებს პროლეტარული რევოლიუცია მთელ რიგ ქვეყნებში, ესპობა ყოველგვარი ნიადაგი ნაციონალ-ბოლშევიზმს. მთელ რიგ პროლეტარულ სახელმწიფოთა ძმური კავშირი საუკეთესო საშვალებაა ნაციონალ-ინტელიგენტური ბოდვისაგან.

ჯერ-ჯერობით კი ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ პროლეტარულ რევოლიუციის მიერ დანარცხებულ იდეოლოგიის ფერფლიდან ისევ იჩეკება ნაციონალიზმის ფენიქსი. ის გარემოება, რომ ის გვერდში ამოუდგა პროლეტარულ სახელმწიფოს, ის გარემოება, რომ ის ხელს აძლევს მე 3 ინტერნაციონალს, რომელსაც სხდომები აქვს კრემლში, არსებითად საქმეს არ ცვლის. ნაციონალიზმი მუდამ ნაციონალიზმათ რჩება. და რამდენათაც ნაციონალისტური თავბრუ და ნაციონალისტური შხამი ნაცადი და საიმედო იარაღი იყო ბურჟუაზიის ხელში თავისი ნაციონალური პრივილეგიებისთვის საბრძოლველათ, ჩვენ ძალიან ფრთხილათ უნდა მოვეპყრათ ნაციონალ ბოლშევიზმს. ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავუშვათ რუსეთის მუშათა კლასის მიერ მოხდენილ პროლეტარულ რევოლიუციის ამოცანებისა და ინტერნაციონალური შინაარსის მოხერხებული შეცვლა ჩვენი ოქტომბრის ნაციონალური ახსნით. ხოლო ამ შეცვლას კი ცდილობენ „სმენავეხელები“. ასე შეუძლიან „სმენავეხელებს“ მოახდინონ ბინძური გავლენა პროლეტარულ შეგნებაზე.

„ნეპის“ (ახალი ეკონ. პოლიტ.) ჟამში „სმენავეხელების“ წმინდა თეორეტიული და იდეოლოგიური მუშაობა ერთი რგოლია მხოლოთ. და ეს ჩვენ ყოველ წუთში უნდა გვახსოვდეს. და ყოველ წუთში დაუზოგველათ უნდა ვააშკარავებდეთ „სმენავეხელები“ ნაციონალ-ბოლშე
მთელ წვრილ ბურჟუაზიულ
და ვუპირდაპირებდეთ მას
შორისო პროლეტარიატის
სების ინტერნაციონალურ ერთ
დღე, „სმენავეხელებმა“
რომ რუსი მუშა მშვენივრათ
ვა ,,სმენავეხელების“
წვრილ-ბურჟუაზიულობაში.
ვეხილების“ ფასი ყველასათვ
ბილია. მათთვის ამ ჟამათ
რელია ერთად სვლა მუშათა
თან. ერთად სვლა დროებით,
დან ჩვენ დარწმუნებული ვარ
კმაყოფილდებიან რა ისინი
რობით პროლეტარული რ
ციის ნაციონალისტური ახსნ
მდეგში ლოღიკურათ დაველ
ტარიატის ხელისუფლების
დე „სმენავეხილების“ ინტელ
ბატონობით. თუ არა შეცვ
ყალებებით მაინც. ისინი
ჩ: დიან თითქმის ამას—იგივე
მასების როლს ოქტომბერში
სკნელ ხუთი წლის განმავლ
უთმობენ რა პირველ ადგილ
ნისტურ ინტელიგენციას. მა
და ჩვენი გზა არ იქნება
ჩვენ შევსძლებთ თავის დრო
ვიტანოთ შესაფერი დასკვნ
ჯერ ჯერობით კი,
გთხოვთ იმუშაოთ ბ. ბ. სმ
ტიბო ემიგრანტ ინტელიგ
ვნახოთ, თუ როგორ მუშაობ
პროლეტარულ სახელმწიფო
გვეხმარეთ ჩვენ ჩვენს ძნელ
ბლობაში.
ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთ
განი კიდევ უფრო შორს
პატიოსნათ მივა პროლეტარ
ნოსაში, მოიცილებს რა
„სმენავეხელების“ დღევანდ
ციონალიზმს. ხოლო „სმენავე
მიმართ ჩვენი მოქმედების
თელი იქნება. ყოველ ნაბიჯზ
მუშასა და გლეხს წინაშე ჩ
ზოგველათ უნდა ვამხილოთ
ვეხელების“ თითეულ აზ
ფრაზაში მათი წვრილ ბურჟ
ნაციონალისტური ბუნება.

ი. ბა

მალეთის ბაზრის შესწავლა და პრაქტიკულად დასმა საკითხისა ოსმალეთთან გაერთიანებულ სააქციონერო საზოგადოებების, ბანკების და სხ. შექმნისა. საბერძნეთ ოსმალეთის ამბების საბოლოო შედეგების შემდეგ ანტანტის მიერ ოსმალეთის ეკონომიურ დაპყრობის საშიშროება ჩვენთვის ნაკლებ რეალური იქნება, და მასთან საბრძოლველად ჩვენ სერიოზულად უნდა მოვემზადოთ (კავროსტა).

ოსმალეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება

ანგორა. 21 სექტ. ანგორაში სახალხო კომუნისტურ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება სტამბოლის მშრომელთადმი მიმართვით, რათა იმპერიალისტურ ოკუპანტებს და სულთანის რეჟიმს მოუღონ ბოლო.

მოწოდებაში ნათქვამია: „ყველა მუშებმა და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა უნდა მოამზადონ და დაიწყონ საერთო გაფიცვა, რომელიც შემდეგში შეიარაღებულ აჯანყებაში უნდა გადავიდეს. თქვენ დაუყონებლივ უნდა დატოვოთ იმპერიალისტები უწყლოთ, უპუროთ, უტრანსპორტოდ, უფოსტა ტელეგრაფოდ. დაამტკიცეთ, რომ თქვენ ძალგიძთ უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართოთ იმპერიალისტებს სტამბოლში. დააკავეთ ხონთქარი, განიარაღეთ პოლიცია, ჟანდარმერია, უცხოეთის ჯარები და თვითონ აისხით იარაღი მიეცით საშუალება ოსმალეთის ჯარებს— შევიდნენ დიად, თავისუფალ ქალაქში, სიკვდილი კონსტანტინეს და მახმუდ 6.

გაუმარჯოს თავისუფალ აჯანყებულ სტამბოლს.

გაუმარჯოს მე 3-მე ინტერნაციონალს.

წითელი რადიოგრამები

რუსეთი

ინტერვიუ ამხ. ჩიჩერინთან.

მოსკოვი, 24 სექტ. გაზ. „ფოსიშე ცეიტუნგის“ თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. ჩიჩერინმა განაცხადა: „საბჭოთა რუსეთი ხდება პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობის ფაქტორი. ყოველგვარი ცდა მსოფლიო პოლიტიკის პრობლემის გადაწყვეტისა რუსეთის გარეშე, უშედეგოდ დამთავრდება. რუსეთის პოლიტიკას მიზნად აქვს უზრუნველყოს საბჭოთათა რესპუბლიკის საზღვრები და განამტკიცოს მისი მეურნეობა. რუსეთი არის მეგობარი ყველა იმათი, ვისაც საფრთხე მოელის და ვინც იბრძვის თავისუფლებისათვის.

ეპიდემიების მსვლელობა.

მოსკოვი, 23 სექტ. ჯანმრთელობის კომისარიატის ცნობით მიმდინარე წლის განმავლობაში ხოლერით ავათ მყოფობის 65.000 შემთხვევა იყო.

პარტახიანი სახადით ავად გახდა პირველ სექტემბრამდე 1 მილიონი კაცი, აგვისტოში რეგისტრაციაში გატარებულია მხოლოდ 9.000 ავადმყოფი.

ტრანზიტი სპარსეთში.

მოსკოვი, 23 სექტ. მოსკოვში დაარსდა სააქციონერო საზოგადოება რუსეთის და მისი საკავშირო სახელმწიფოების ტერიტორიით სატრანზიტო საქონლების სპარსეთში გადასაზიდათ. საზოგადოების ძირითადი კაპიტალი—40 მილიონი გერმანიის მარკა. მიკლი ტონაჟს 90 პროც. საზოგადოება უთმობს რესპუბლიკაში ნაწარმოებს საქონლების გადასაზიდათ.

მომარაგების სახელმწიფოებრივი გეგმა.

მოსკოვი, 23 სექტ. შრომის და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა 1923 წლისათვის მომარაგების ახალი სახელმწიფოებრივი გეგმა, სულ 314 მილიონი ჭვავის ერთეული, რომლიდან მრეწველობისათვის გადაიდება 50 მილიონი.

იჯარა.

მოსკოვი, 23 სექტ. ყირიმის უმაღლეს სამეურნეო საბჭომ ხუთი წლის ვადით იჯარით გადასცა დამშეულთა კომიტეტს შუშეულობის ქარხანა.

სამეურნეო ფრონტზე.

მოსკოვი, 23 სექტ. ხარკოვის ორთქლმავალის-მშენებელი ქარხანა მუშაობას დაიწყებს ოქტომბერში. ქარხანა უზრუნველყოფილია სათბობი მასალით და სურსათით. წლიური პროგრამა—60 ახალი ორთქლმავალის გაკეთება და 120 ძველის შეკეთება.

საქონელი იტალიიდან.

მოსკოვი, 23 სექტ. „ლოიდ-ტრიესტინო“-ს სევასტოპოლის განყოფილებაში იტალიიდან მოტანილია 3.000 ფ. საქონელი.

ამხ. კრასინის განცხადება.

მოსკოვი. 24 სექტ. საზღვარ გარეთიდან დაბრუნებულმა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარმა კრასინმა რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომელს განუცხადა: ამ ჟამად რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოების მიერ განხილვის სტადიაში იმყოფება რ. ს. ფ. ს. რ. ხელშეკრულება ინგლისის მსხვილ კაპიტალისტ ურკვარტთან. ხელშეკრულების არსება გამოაშკარავდება მისი რატიფიკაციის შემდეგ. ჯერ ჯეროვით მასზე რისიმე თქმა ნაადრევი იქნებოდა. ევროპის პრესა ხელშეკრულებას სთვლის საბჭოთა მთავრობის ყველაზე დიდ გამარჯვებათ.

ამ დღეებში, ამბობს კრასინი, გაემგზავრება კანადაში ჩვენი სავაჭრო დელეგაცია. კანადაში ჩვენ ვიშოვით თესლს სოფლის მეურნეობისათვის. ჩვენ იმედი უნდა გვქონდეს კრედიტების მიღებისა, ვინაიდან კანადის მრეწველობას მეტად ესაჭიროება დაკვეთა.

ცალკე კონცესიებს შორის, რომლებიც მიიღეს ჩვენგან ამერიკელებმა უნდა აღვნიშნოთ ხელშეკრულება ნავთის ბურღვის და გადაქაჩვის შესახებ, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საფრანგეთში ჩვენ დავსდეთ მთელი რიგი საკონცესიო ხელშეკრულებათა კაპიტალის ცალკე წარმომადგენლებთან.

გერმანიაში მარკის კატასტროფიული დაცემა გრძელდება. და სამრეწველო კრიზისი არ ნელდება, ამიტომ გერმანიასთან სერიოზულ ეკონომიურ დამოკიდებულებაზე ჯერ ჯეროვით ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან გერმანიას არ შეუძლია ჩვენთან კონცესიების და ხელშეკრულებების და აგრეთვე საკრედიტო ოპერაციების დადება.

საზღვარ გარეთ მუშაობის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია მიზანშეწონილია. ამ მოსაზრებას იმეორებენ დასავლეთ ევროპის გამოჩენილი ეკონომისტები.

რ. კ. პ. საგუბერნიო კონფერენცია.

მოსკოვი. 24 სექტემბერი. 23 სექ. გაიხსნა რ. კ. პ. საგუბერნიო კონფერენცია. პირველი მოხსენება გააკეთა ამხ. ზინოვიევმა, რომელსაც შეხვდენ მქუხარე ტაშის ცემით.

საერთო სამოქალაქო გადასახადი.

მოსკოვი. 24 სექტემბერი. საერთოსამოქალაქო გადასახადი რუსეთის აღმოსავლეთ-სამხრეთში აკრეფილია 100 პროც.-ის რაოდენობით.

საბჭოთა მართლმსაჯულება.

მოსკოვი. 24 სექტემბერი. უმაღლეს ტრიბუნალში დაიწყო ყოფილი მეფის ჯარის გენერალური შტაბის პოლკოვნიკის საკოლოვსკის საქმის გარჩევა, რომელსაც ბრალი ედება იმაში, რომ, უკრაინის წითელ არმიაში ყოფნის დროს, იგი თავის სამსახურს იყენებდა საბჭოთა რუსეთის მტრების სასარგებლოდ, გამოსცა ბრძანებები, რომელნიც ხელსაყრელნი იყვნენ თეთრგვარდიელებისათვის, კავშირი ქონდა მოხალისეთა არმიასთან და სხვა.

— ბელორუსეთის რევოლ. ტრიბუნალმა დაამთავრა 35 ბანდიტის საქმის გამორჩევა. ბანდიტებს სათავეში ედგა ლიუდომსკი, რომელსაც მიუსაჯეს დახვრეტა. დანარჩენებს სხვა და სხვა სასჯელი.

რუსეთ შვეიცარიის სავაჭრო ხელშეკრულება.

მოსკოვი 24 სექტემბერი. შვეიცარიის მრეწველობის წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა ბომმა, რომელიც ჩამოვიდა პეტროგრადში, ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ იგი მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რათა დაანახოს რუსეთის ეკონომიური აღორძინების სურათი ქვეყნიერობას. ბომეს აზრით მნიშვნელოვან ამოცანად ითვლება რუსეთ-შვეიცარიის შორის ახლო მომავალში სავაჭრო ხელშეკრულების დადება.

ამხ. რადეკის წერილიდან

მოსკოვი. 24 სექტ. გაზ. „პრავდაში“ ამხ. რადეკი სწერს: „ესერებზე გამოტანილ განაჩენით გერმანიის ს.-დემოკრატებმა აღშფოთდენ და დახვრიტეს ამხანაგი ლევინი. გელცი და სხვა ამხანაგები კი იძულებული გახდეს ციხეში სიმშილობა გამოეცხადებიათ. კომინტერნის აღმასკომი მიმართავს სოც.-დემოკრატებს გაუცვალონ გელცი ტიმოფეევზე. ამას ისინი მიაღწევენ, ვინაიდან პარლამენტში გაერთიანებული დამოუკიდებელნი და შეიდემანელები, უმრავლესობას შეადგენენ. ჩვენ მოველით, რომ გერმანიის სოციალ დემოკრატები არ იტყვიან: „დე იჯდეს საპყრობილეში ტიმოფეევი, ოღონდ სტკბებოდეს გერმანიის ბურჟუაზია მუშა რევოლიუციონერ გელცით. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ გაერთიანებული დამოუკიდებელნი და შეიდემანელები არ დააყოვნებენ გელცის განთავისუფლებას და ტიმოფეევის გერმანიაში გადასახლებას“.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ყრილობა

მოსკოვი. 24 სექტ. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე 22 სექტემბერს ერთხმად არჩეული იქნა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო 85 წევრისაგან, რომელიც დაასახელა რ. კომპარტიამ.

დასკვნითი სიტყვა წარმოსთქვა რუდზუტაკმა, რომელმაც აღნიშნა, რომ პროფკავშირები და პროფმოძრაობა მტკიცე ნიადაგზე დადგენ პრაქტიკულ მუშაობაში. ყრილობამ ყველა სხდომები მოანდომა მხოლოდ და მხოლოდ საქმიანი საკითხების გადაწყვეტას. ყრილობამ გამონახა პრაქტიკული პროგრამა, რომლის განხორციელებაც შეუძლიათ კავშირებს პროფმოძრაობის ორგანოების მჭიდრო კავშირით მუშათა მასებთან.

ყრილობა დამთავრდა ინტერნაციონალის სიმღერით და მქუხარე ტაშით.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო

მოსკოვი. 24 სექტ. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა ახალმა საბჭომ 23 სექტემბრის სხდომაზე აირჩია პრეზიდიუმში: ამხ. ტომსკი, რუდზუტაკი, ლოზოვსკი, შმიდტი, რიკოვი, ლიტვინოვი და სხ. სრ. რუს. პროფ. კავშ. საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულია ამხ. ტომსკი, მდივნად ამხ. დოგადოვი, შრომის სახ. კომისრად დამტკიცებულია ამხ. შმიდტი. სრულ. რუს. პროფ კავშ. ცენ. საბჭოს პლენუმი მოწვეულ იქნება დეკემბერში.

პროფკავშირთა ყრილობის გამო.

მოსკოვი. 24 სექტ. ამხ. რუდზუტაკმა განაცხადა, რომ ყრილობის მუშაობის დროს ცენტრალური ადგილი დაიჭირა ხელფასის საკითხმა. ყრილობამ ხაზგასმით, აღიარა, ხელფასის თანდათანობითი გადიდება სახალხო მეურნეობის მიხედვით. ყრილობამ მიიღო საორგანიზაციო ფორმა, რომელიც შეთანხმებულია განსაკუთრებით პრაქტიკულ ამოცანების შესრულებასთან. ყრილობამ გადასწყვიტა საჭირბოროტო საკითხი სოციალურ დაზღვევის შესახებ, მიანდორა ამ დარგში მუშაობა შრომის სახ. კომისარიატის ორგანოებს, საერთაშორისო მოძრაობის საკითხში ყრილობამ აუცილებლად სცნო ფართო აგიტაციის წარმოება ერთიანი მუშათა ფრონტის სასარგებლოდ.

ყრილობის მიერ აღებული გეზი შესაძლებლად ხდის ჩაბას მშრომელთა სახელმწიფოს აღმშენებლობაში მთელი მუშათა კლასი არა მარტო აგიტაციით, არამედ პრაქტიკული მუშაობითაც.

რუსეთ-იაპონიის კონფერენცია

მოსკოვი 24 სექტ. ამხ. რადეკი „იზვესტიაში“ სწერს: ჩან ჩუნში წარმოებულ მოლაპარაკების დროს ამოტივტივდა საკითხი ნიკოლაევსკში და სახალინზე მომხდარ ამბების შესახებ. იაპონელებმა ნიკოლაევსკის ოკუპაციის დროს დიდი მხეცობა გამოიჩინეს. შემდეგ ნიკოლაევსკი ხელში ჩაიგდეს პარტიზანებმა, რომელნიც ეპყრობოდენ იაპონიის გარნიზონს მეგობრულად, მაგრამ იაპონელებმა არ დაინდეს ისინი, ღამით თავს დაესხენ პარტიზანულ შტაბს. 1920 წლის ივნისში ნიკოლაევსკიდან გასვლის დროს პარტიზანებმა ააფეთქეს ქალაქის ნაწილი, დახვრიტეს ბურჟუაზიის წარმომადგენელნი, დახვრიტეს აგრეთვე ტყვე იაპონელები, იმ მხეცობის საპასუხოთ, რომელიც ჩაიდინეს იაპონელებმა სახალინზე, ჩვენ არ გვინდოდა ტყვეების დახოცვის გამართლება, მიუხედავად იმ სიმტკიცისა, რომლის შესახებ ლაპარაკობდენ იაპონელები (გამოტოვებულია)... არა მარტო იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლება პასუხისმგებელი არ არის პარტიზანების მოქმედებისათვის, არამედ იმიტომაც (გამოტოვებულია)... მოთხოვნილება ჩრდილოეთ სახალინის იაპონიისათვის გადაცემის შესახებ, არის განუხორციელებელი, ვინაიდან ამ მოთხოვნილებაში იაპონია სცილდება ვაშინგტონის ვალდებულებებს, რაც გამოიწვევს გადამწყვეტ წინააღმდეგობას არა მარტო საბჭოთა რუსეთისა, არამედ ამერიკისაც.

ანტანტა და გერმანია

შეთანხმდნენ!!!

ნაუენი. 24 სექტ. დიდი ნაწილი გერმანიის მრეწველობისა სტინესის. კრუპის, ტისენის, კლოკნერის, დიუნსბურგის მეთაურობით და გერმანიის ყველა სამრეწველო საზოგადოებათა წარმომადგენლების თანდასწრებით, ემზადებიან დაათვალიერონ საფრანგეთის განადგურებული ადგილები, სადაც მათ შეხვდებიან საფრანგეთის მრეწველები. ამის შემდეგ შესდგება კრება პარიზში, რომელიც საბოლოოდ გამოიმუშავებს დეტალებს სინდიკატის მოსაწყობად, რომელიც განახორციელებს სტინესის და მარკიზ დე ლიუბერსაკის შეთანხმებას.

დიუხუას გადადგომა.

ნაუენი. 24. სექტ. საფრანგეთის წარმომადგენელი საკონტრიბუციო კომისიაში დიუხუა გადადგომას აპირებს.

გერმანიის ემისია.

ბორდო. 24 სექტ. „ფოსიშე ცეიტუნგი იტყობინება, რომ ზოგიერთი პროვინციის სტამბები აწარმოებენ ფულების გამოშვებას, ვინაიდან სახელმწიფო ექსპედიცია ვერ ასწრებს საჭირო რაოდენობის დამზადებას ფიქრობენ, ამ დღეებში შესძლონ ყოველდღიურად გამოუშვან 8 მილიონი მარკა.

გარანტიები ბელგიას.

გერმანიის და ბელგიის მოლაპარაკება გარანტიების საკითხის შესახებ დამთავრდა. ბელგიის მთავრობას გადაეცემა ვალდებულებანი (გამოტოვებულია)... ხაზინის.

კაპიტალიზმის სამეფოებში

საფრანგეთი

გაფიცვები ბომბეიაში

ბორდო. 23 სექტემბერი. „ტანის“ ცნობით ბომბეიაში გაფიცულია ტრამვაის მოსამსახურეები. სამჭედლო და მექანიკური სახელოსნოებიც გაფიცვით იმუქრებიან.

სპარსეთი

სპარსეთის მეჯლისში

მოსკოვი, 24 სექტ. სპარსეთის მთავრობის მიერ მეჯლისში შეტანილ პროექტმა ჩრდილოეთ-სპარსეთის ნავთის კონცესიის შესახებ გამოიწვია მემარცხენე პარტიების სასტიკი კრიტიკა. პარტიების წარმომადგენლები აღნიშნავდენ, რომ მოლაპარაკებას კონცესიების შესახებ, რომელიც სწარმოებს საბჭოთა რუსეთის მონაწილეობის გარეშე, არ შეიძლება ქონდეს სერიოზული მნიშვნელობა, ვინაიდან კონცესიის განხორციელება შეუძლებელია რუსეთის ტრანზიტის გარეშე.

თეგერანში

მოსკოვი, 24 სექტ. სპარსეთის სამღვდელოება უცხოეთის ბურჟუაზიის კარნახით აწარმოებს შავრაზმულ აგიტაციას, რის შედეგად თეგერანში მოხდა ურიების დარბევა.

ინდოეთში

კროიდონი. 24 სექტ. კალკუტიდან იუწყებიან, რომ 20,000 მუშა გაიფიცა ცნობილ ტატა-აირონ-სტილ-უერკსის ქარხანაში. მუშაობის მიტოვებას თანდაჰყვა უწესოებანი

ჩიჩერინის გამგზავრება.

ჰანნოვერი. გარეშე საქმე კომისარი ჩიჩერინი გაემგზავრა ბერლინიდან რუსეთში.

სამხედრო ხარჯები.

ბორდო. 23 სექტემბერი. ჟენევაში მიღებულია შემდეგი ციფრები, რომლებიც გამოხატავენ სამხედრო საქმეებისათვის გაწეულ ხარჯების ზრდას. ამ ციფრების თანახმად 1913 წლის სამხედრო ხარჯების 100 ფრანკზე—ამერიკა ხარჯავს ამ ჟამად 198 ფრანკს, ინგლისი 180 ფრანკს და იაპონია 184.

სხვა და სხვა ცნობები

პოლონეთში.

ბორდო. 24 სექტ. სტამბის მუშების გაფიცვა დამთავრდა, გაზეთები გამოვიდნენ.

მეზღვაურთა გაფიცვა.

ბორდო. 24 სექტ. ბორდოს მეზღვაურებმა გადასწყვიტეს გამოაცხადონ გაფიცვები.

„ფრეიხეიტის“ დაკეტვა.

ბორდო. 24 სექტ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორივე ფრთის შეერთების გამო გაზეთი „ფრეიხეიტი“-ს გამოცემა შეწყდება.

ერთა ლიგაში

ნაუენი. 23 სექტ. შვეიცარიის დელეგატმა მოცამ მოითხოვა, რათა გერმანიას ეცნობოს, რომ მისგან მოელიან თხოვნას მისი ერთა ლიგაში მიღების შესახებ. საფრანგეთის დელეგატმა სენატორ ჟუვენელმა სასტიკი პროტესტი განაცხადა და აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია მხედველობაში მიიღოს ნეიტრალურ სახელმწიფოების აზრი, რადგან უკვე არის დადგენილებანი მოკავშირე დიდ სახელმწიფოებისა და ამ დადგენილების დამახინჯება არავის არ შეუძლია. ამაზე მოტტამ უპასუხა, რომ დელეგატების უმრავლესობა აშკარად უარყოფენ ამგვარ მდგომარეობას.

ნაუენი. 23 სექტ. ერთა ლიგის საბჭოს დროებითი წევრთა რიცხვი გადიდებულ იქნება ბენეშით დ ბრანტინგით.

ბორდო. 23 სექტ. 45 სახელმწიფოს მიერ საფრანგეთის დელეგატ სენატორ ჟუვენელის წინადადებით განიარაღების შესახებ დებულების მიღებამ მოახდინა ჟენევაში, როგორც ამოწმებს „ჟურნალ დე დებაი“ შთაბეჭდილება არა საკმაო ფაქტისა იმისათვის, რომ ევროპაში მართლაც დამყარებული იქნება მშვიდობიანობა და ევროპამ კვლავ მოიპოვოს ეკონომიური წონასწორობა ჟუვენელის წინადადების საშუალებით ერთა ლიგა აღნიშნავს, რომ მატერიალური განიარაღება მოითხოვს აგრეთვე მორალურ განიარაღებას, რომელიც შეიძლება მიხწეულ იქნეს მხოლოდ ურთი ერთ მშვიდობიანობის და ნდობის ატმოსფერაში, და გამოსთქვამს აზრს, რომ მხოლოდ სათანადო საშუალებათა ქონება, რომლითაც შეიძლება აღდგენილ იქნეს განადგურებული ოლქები და მოწესრიგებული საკავშირთაშორისო ვალები,—შეძლებას მოგვცემს გავნთავისუფლდეთ ყოველგვარ უბედურებისაგან, რომლითაც ამ ჟამად მთელი ქვეყანაა არის მოცული. განიარაღების კომისიამ გამოსთქვა სურვილი, რათა დაინტერესებული მხარეები რაც შეიძლება ჩქარა შეთანხმდნენ საკონტრიბუციო და საკავშირთშორისო ვალების საკითხთა სასურველად გადაწყვეტაში.

„ტანის“ აზრი

ბორდო. 23 სექტემბერი. „ტანი“ აღნიშნავს რომ პირობები, რომელშიაც იქნა გამოხატული განიარაღების კომისიის სურვილი, ქმნიან ნაყოფიერ ატმოსფერას კონფერენციის მოწვევისათვის, რომელმაც უნდა განიხილოს საკონტრიბუციო საკითხი მთლიანად და აგრეთვე საკითხი საკავშირთშორისო ვალების შესახებ.

ჟუვენელის სიტყვა

ბორდო. 22 სექტემბერი. ერთა ლიგაში თავის წინადადების შეტანის დროს ჟუვენელმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა საფრანგეთის პოზიციისა და პუანკარეს პოლიტიკის გასამართლებლად. მან განაცხადა, რომ ეხლა ერებმა უნდა გაიგონ, რომ არ არსებობს არჩევანი კონტრიბუციის მიმართ სოლიდარობისა და განიარაღების საკითხში სოლიდარობის შორის. მან აღნიშნა თავის სიტყვაში, რომ აუცილებელია ევროპამ გამოხატოს თავისი სოლიდარობა და არ დაუცადოს შეერთებულ შტატების ჩარევას.

ქრონიკა

◆ **ცენტრო თესვის შტატების დამტკიცება.** სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე 21 სექტ. განხილულია და დამტკიცებულია ცენტრო-თესვის და აგრონომიულ დახმარების ხარჯთ აღრიცხვის დებულებები და შტატები. ცენტრო თესვის, სამაზრო თესვის და აგრონომიული დახმარების შტატი შესდგება 120 კაცისაგან.

◆ **იგ. გომელაურის ქრესტომატები.** პირველი და მეოთხე წიგნი იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდათ. მეორე და მესამე წიგნი ძალიან ცოტაა დარჩენილი.

◆ **გზატკეცილების შეკეთება.** დროებით შეჩერებული ტფილისი-მანგლისი და ვაზიანი კაკაბეთის გზატკეცილების შეკეთება კვლავ განახლდა. მუშაობას ხელმძღვანელობს საინჟინერო ბათალიონის ნაწილი. ვინაიდან გზების სრული შეკეთება მოითხოვდა დიდ ხარჯებს, ამიტომ შეკეთება სწარმოებს ნაწილ-ნაწილობრივი.

სწარმოებს მდინარე იორიდან ქვების ამოტანა სიღნახის გზაზე მოსაყრელად. სწარმოებს აგრეთვე შეკეთება ტფილის წყნეთის გზის.

◆ **ჩამორთმეულ აგარაკების მოწყობა.** მანგლისში დათვალიერებულ იქნა გასაეროვნებლად დანიშნული სახლები. გაეროვნებული იქნება 31 სახლი.

◆ **წყნეთში ჩამორთმეულ სახლების შეკეთება** და აღრიცხვა სწარმოებს. აღმასკომს გადაეცა 9 სახლი.

◆ **ელექტრონის სადგურის მოწყობა მანგლისში.** ამ ჟამად მანგლისში ეწყობა ელექტრონის სადგური, რომელიც მიაწვდის ენერგიას როგორც სახ. დაწესებულებათ, ისე კერძო პირთ.

მეფე-ლირი

მე ლითონს ვსჭრიდი და ვარგვალებდი:
სირგვლე სახეა უკვდავებისა!
ჩემს სამეფოში მას ვაზვავებდი,
მსურდა ოქროსგან დადგმა მთებისა!..

მე ვჭრიდი ფურცლებს, ქაღალდის ფურცლებს,
სათვალთმაქცოსა და სათაღლითოს,
თვით ვიჯიბავდი ოქროებს, ვერცხლებს,
ქაღალდები თქვა ქვეყანამ ჰფლითოს!..

ჰფლეთდენ... სტიროდენ... მე ვხითხითებდი...
ჩემთან სატანაც სდგებოდა ცერზე,
და მწუხრის ლოცვას ვიბეჯითებდი
ცხოვრების ბინდზე შემდგარი სერზე...

დაბლა ქვეყანას ნისლი ჰბურავდა,
ძირს დაშვებული ტყვიის ვარაყათ,
ტანჯვის მხარე რომ სისხლში სცურავდა,
მე მაშინ სერზე ვიდექ ამაყათ!

და სატანა კი გულზე სქდებოდა,
მე რომ ვჯობნიდი გულზვიადობით,
ხტოდა და უშნოთ მეღრიჯებოდა
ქვენაზრახვით და ყალთაბანდობით...

მე კი ვიდექი მის წინ ამაყათ,
ვით ქვეყნის რისხვა, ვით მეფე ლირი!
ტყვიის ნისლი კი ქვეყნის ვარაყათ
ძირს ეშვებოდა ცხლად ანტირი.

და შრომის უბანს ეკიდებოდა
ცეცხლი უშრეტი, ცეცხლი გრძნეული,
ნამწვავს სატანა ეზიდებოდა
ჯოჯოხეთისკენ ანაზდეული...

და იძრა მიწა!.. და იძრა მთები!,.
ცეცხლმა მოიცვა ის ჩემი სერი,
ნისლის წილ იქნა განამეფები
ცეცხლის ენების წითელი ფერი.

ცხელა და ცხელა... ვიწვი და იწვის
ოქრო ყვითელი, ვერცხლი ბრჭყვიალა...
და ჩემი ჩარხიც წინ აღარ იძვრის,
შებრუნდა უკან, როგორც ბზრიალა!..

ცეცხლის ტალღამ კი წითლად წალეკა
სოფლის ნაგავი და ქვეყნის შმორი,
ცისკენ დაიძრა ღრუბელი ლეგა...
მზე ძირს მოიწევს, ვით მეტეორი!..

ი. ზომლეთელი.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის კვირის № ში მოთავსებული ნეკროლოგი **სურენ ხპანდარიანზე** შემთხვევით ხელმოუწერელია. წერილი ეკუთნის ამხ. **ს. ხანოიანს.**

ხელოვნება

— **ნ. ზომლეთელის საღამო** დღეს, ქართულ კლუბში, გაიმართება პროლეტარული პოეტის ნ. ზომლეთელის დიდი ლიტერატურული საღამო. სიტყვა: „რევოლიუციონური ჰიმნი—ინტერნაციონალი“. 2 ნ. ზომლეთელი წაიკითხავს ახალ პოემებს „კბილი კბილის წილს“ და „არ დაუთმონ“. 3. ქართული აკადემიური გუნდი კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით შეასრულებს ქართულ რევოლიუციონური სიმღერებს. 4. გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო ეული, იონა ვაკელი და თვით ნ. ზომლეთელი წაიკითხავენ ლექსებს. 5. ტრიო 4 წლის ქალის მონაწილეობით შეასრულებს 7 ქართულ სიმღერებს. დაწვრილებით პროგრამებში. იმედია თბილისის მშრომელი მასსა დაესწრება ამხ. ზომლეთელის საღამოს.

— **ქართული დრამის რეპერტუარი მიმდინარე სეზონში.** ორიგინალური პიესები: დ. ნახუცრიშვილის—„პაატა ბატონიშვილი“, გრ. რობაქიძის—„ლონდა“; დ. კლდიაშვილის—„სამანიშვილის დედინაცვალი“ „ირინეს ბედნიერება“ და „დარისპანის გასაჭირი“; ნ. შიუკაშვილის—„მთის ზღაპარი“ და „სიმახინჯე“; ა. ხოშტარიას—„მოლიპულ გზაზე“; შალვა დადიანის—„მზის დაბნელება საქართველოში“, „ვარამი“ და „გუშინდელნი“; ს. ყიფიანის—„სამეგრელოს მთავარი ლევან“; აკაკი წერეთლის—„პატარა კახი“, „ჯვარი ნინოსი“ „და თამარ ცბიერი“; დ. ერისთავის—„სამშობლო“ „დავა“ და „გაყრა“; შ. შარაშიძის—„ავგაროზი“; სანდრო შანშიაშვილის—„უგვირგვინო მეფენი“ და „ბერდო ზმანია“; ვ. შალიკაშვილის—„გადაჭრილი მუხა“; ალ. სუმბათაშვილის „ღალატი“; ვ. გუნიასი—„ალლუმი“; „სიზმრები“ და „რაც გინახავს ველარ ნახავ“—ცაგარელის.

ნათარგმნი პიესები: „რომეო და ჟულიეტა“, „მაკბეტი“, „ცხოვრების წყარო“, „პადუის დედოფალი“, „ჰამლეტი“, „M lle ფიფი“, „მარგარიტა გოტიე“, „ვერაგობა“, „სიყვარული“, „ჰენრიხ ნავარიელი“, „ურიის სისხლი“, „იდეალური ქმარი“, „ჰოიდიპოს მეფე“, „ჰოიდიპოს კოლონიებში“, „პარიზის ღარიბ ღატაკნი“, „პატიოსნება“, „ფლორენციის ტრაგედია“, „პადუის ტირანი“, „ვიდრე ხვალ უფალო“, „ოტელო“, „ტარტიუფი“, „ანტიგონე“, „მადამ სანჟენ“, და სხვ.

საბავშო წარმოდგენები: „კოტეს დანაშაული“, „თომას ქოხი“, „პრინცი მეღორე“ და „ავგაროზი“.

— **სახელმწიფო ოპერა.** როგორც ეტყობა, სახელმწიფო ოპერა მიმდინარე სეზონში საინტერესო იქნება. მომღერლები უკვე გროვდებიან თბილისში. სხვათა შორის ჩამოვიდა მეცო-სოპრანო ბუხტაროვის ასული, რომელიც ითვლება საუკეთესო „კარმენის“ ამსრულებელათ. აგრეთვე მოელიან: პაპოვს (კოლ. სოპრანო), კიპერენკოს და აგრონომსკის (ტენორები). გარდა ძველი ოპერების განახლებისა, განზრახულია შემდეგი ახალი ოპერების დადგმა: ზ. ფალიაშვილის „ღამის თევა“ „ვილჰელმ ტელლი“, „ლოენგრინი“, „ტანგეიზერი“ და სხვ.

— **გაზ. „ბახტრიონი“.** გამოვიდა ყოველ-კვირეული გაზეთი გაზ. „ბახტრიონის“ მორიგი ნომერი მე-12 შემდეგი შინაარსით: „ფონდი ხელოვნებისათვის“—ვარამ გაგელის, „პრესსა“, „გაღვიძებული კონსერვატორია“ სერ. კლდიაშვილის, „იაკობ ნიკოლაძე“ (წერილი) ტიციან ტაბიძის, „საგურამო“—არტურ ლეისტის, ლექსები: „ლექსიდან: ორპირის ოქროპირი“ ტიციან ტაბიძის, „შეხვედრა გამეორებით“—კოლაუ ნადირაძის, ქრონიკა და სხვ.

— **სახელმწიფო პენსიები.** განსაკუთრებულმა კომისიამ განიხილა და სახალხო კომისართა საბჭოში წარადგინა დასამტკიცებლათ სია იმ ხელოვანთა და მეცნიერთა, რომელთაც უნდა ეძლეოდეთ პენსიები. ახალი პროექტით რაოდენობა პენსიის საგრძნობლათ გადიდებულია და დაყოფილია კატეგორიებათ. დამტკიცების შემდეგ ეს სია იქნება გამოქვეყნებული.

— **ბორის ტომეს კონცერტი.** 3 ოქტომბერს, სახელმწიფო 1 კონსერვატორიაში შესდგება კონცერტი სოლის-ვირტუოზის (ბალალეიკ.) ბორის ტომესი.

— **სოვპროფის კლუბი.** კვირას, 1 ოქტომბერს, სოვპროფის კლუბის დიდ დარბაზში შესდგება მხოლოდ ერთი საღამო ცნობილ პოლიტიკურ სატირის მსახიობის მურატოვის (ცოცხალ ხლესტაკოვის).

— **მსახიობების წასვლა.** კომპოზიტორი ა. ფლოროვი და რეჟისორი სახელმწიფო ბალეტის გულინი 24 სექტემბერს გაემგზავრენ მოსკოვს.

— **გლაგოლინის ჩამოსვლა.** სახელმწიფო ოპერის და დრამის თეატრების რემონტის გამო, გასტროლები მსახიობ გლაგოლინისა შესდგება სახალხო სახლში.

დღეს თეატრებში.

— ქართული კლუბი—პროლეტარ. პოეტის ზომლეთელის საღამო.

— საზაფხულო თეატრი არტო—კონცერტი—კაბარე.

— საზაფხულო წრე—საოჯახო საცეკვაო საღამო.

— სომხური თეატრის კლუბი—წარმოდგენა.

— ახალი თეატრი (ყოფილი არლეკინი)—საბავშო [illegible].

მუშათა ცხოვრება

მუშათა ბავშვები

საწავლო წელი უკვე დადგა და ჩვენი ბავშვების შესახებ კი ძალიან ცოტა რამ ისმის. საჭირო იყო ამ მხრივ მეტი გარკვეულობა ყოფილიყო. წარსულის მაგალითით ვიცით, რომ ჩვენ ბავშვებს არც მაინც და მაინც დიდი ხალისით ღებულობენ. სიტყვას მოკლეთ გვეჭრიან და გვეუბნებიან ადგილი არ არისო. ამ გარემოებას უეჭველად უნდა მიაქციოს ყურადღება სახალხო განათლების კომისარიატმა და სათანადო ცირკულიარი დაუგზავნოს ყოველ სკოლას, რომ პირველ რიგში მუშათა ბავშვები იქნან მიღებული. ესავეა საჭირო საბავშო სახლებსა და ბაღების შესახებაც.

მშობელი.

მუშათა შრომის არტელი

ამ არტელს სახელათ ეწოდება შრომის არტელი. აქ მუშაობა ძალიან სუსტათ მიმდინარეობს. მიზეზი საბრუნავი თანხის უქონლობაა. არტელმა ყველას მიმართა თხოვნით დახმარების შესახებ, მაგრამ არსაიდან არაფერი გამოუვიდა. უკანასკნელათ სთხოვა შრომის სახალხო კომისარიატს. კომისარიატი პირველ ხანებში შეჰპირდა. მივაქცევთ ამ გარემოებაზე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ყურადღებას. მისი საქმე და მისი მოვალეობაა ამ არტელს საჭირო დახმარება აღმოუჩინოს. მუშათა თაოსნობას მეტი ხელის შეწყობა და დახმარება ესაჭიროება.

პროლეტარი.

სასოფლო სამეურნეო იარაღების ქარხანა.

ქარხანაში მუშაობა ნორმალურათ მიმდინარეობს. ქარხანას ივლისში წმინდა შემოსავალი ქონდა 750 მილიონი მანეთი, აგვისტოში 875 მილიონი მანეთი. ქარხანა სექტემბერში მუშაობისაგან უზრუნველყოფილია. მას დიდძალი დაკვეთა აქვს მიღებული.

ამას წინათ აქ გაიმართა მუშამოსამსახურეთა კრება. იყო მოხსენება საბავშო სახლებზე, მუშათა ფაკულტეტზე და სხვა საკითხებზე. მუშებმა აღძრეს შეშის საკითხი. გამოირკვა, რომ შეშა უკვე დამზადებულია თბილისის პროლეტარიატისათვის. ახლა მხოლოდ ჩამოტანაა საქმე. საჭიროა ამ მხრივ ენერგიული ღონისძიება იქნეს მიღებული.

მუშა.

ფოსტა-ტელეგრაფის, ტელეფონის და რადიოს მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრებიდან.

ჩვენი დარგის მუშები უმწეო მდგომარეობაში არიან ჯამაგირების თავის დროზე მიუღებლობის გამო.

ხშირია ისეთი შემთხვევები, რომ ჩვენი თანამშრომლები ისედაც მცირე ჯამაგირს ვერ ღებულობენ ოთხი და ხუთი თვე. უწყება გადავიდა სამეურნეო ანგარიშზე, თავისი გასავალი უნდა დაეკმაყოფილებია შემოსავლით, მაგრამ რესპუბლიკაში ცოტაა ისეთი ადგილები, სადაც თავის გასავალს ფარავდა შემოსავალი. ასეთებია: თბილისი, ბათომი, ქუთაისი, წნორის წყალი და სხვა. დიდი უმრავლესობა დაწესებულებებისა კი ასეთს მოკლებულნი არიან. რისთვისაც უხდებათ ოთხი ხუთი თვე უჯამაგიროთ ყოფნა. ფოსტელთა მეორე ყრილობამ დაგვანახვა, რომ პროვინციელი ამხანაგები ჯამაგირებით ვერ კმაყოფილდებიან და აგრეთვე არ არის შეტანილი ათი პროცენტი დაზღვევ კასაში, რის გამო მათ მოუსპოთ უფასო წამლობა, დღემდის ცენტრალურ გამგეობას ყოველ კუთხიდან მოსდიოდა დეპეშები, სადაც აღწერილი იყო მათი უნუგეშო მდგომარეობა.

ცენტრალურმა გამგეობამ მიაქცია ასეთ მდგომარეობას ყურადღება, 4 სექტემბერს მოიწვია ც. გ. პლენუმის სხდომა. პლენუმმა მიიღო ზომები მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად.

ფული უკვე გამოტანილია და ნაწილდება დაგზავნათ ყველა იმ ნაწილებში, სადაც პირველ სექტემბრამდე არა აქვთ მიღებული ჯამაგირები.

საჭიროა შემდეგში ყოველი ღონე იხმაროს კომისარიატმა და ჩვენი კავშირის ც. გამგეობამ, რათა მუშა-მოსამსახურენი თავის დროზე დაკმაყოფილდნენ ჯამაგირებით.

რომანი.

— ნიღაბოსანთა თეატრი—გასტროლი ბაქოს საოპერო თეატრების პრიმადონასი—აფანასიევა-გალიჩის და ლიახოვასი და მოსკოვის ციგანთა კონცერტი.

— მუშათა ცენტრალური კლუბი—წარმოდგენა.

— ახალი თეატრი შ. ც. კ.—კინო.

— ცირკი—მრავალფეროვანი პროგრამა.

ს. ს. ს. რ. ჯანმრთელობის კომისარიატის ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი

ყოფილი ცენტრალური ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, ყოფილ ქალაქთა კავშირისა, ჯანმრთელობის კომისარიატის ხელში გადავიდა ძლიერ სამწუხარო, ცუდ მდგომარეობაში. საქართველოდან გაქცეულ მენშევიკებმა ლაბორატორიიდან თან წაიღეს მთელი მისი ქონება, აუარებელი სიმდიდრე და შტატი კი შიშველ კედელთა შორის დასტოვეს.

ჯანმრთელობის კომისარიატის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ განყოფილებას დაევალა ძლიერ დიდი ამოცანა: ლაბორატორიის კვლავ აღდგენა, ფეხზე წამოყენება, მისი ამოძრავება.

დღეს ლაბორატორია არა თუ აღდგენილია, მისი მიმდინარე მუშაობა ძლიერადაც აღემატება წინანდელ ლაბორატორიის მუშაობას და ახლო მომავალში გამოცხადებული იქნება საქართველოს ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტად.

ლაბორატორია ჯანმრთელობის საქმეში უკვე თამაშობს ფრიად დიდ როლს, არა მარტო საქართველოს რესპუბლიკის, არამედ სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ფარგლებში. გადასული ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტის მდგომარეობაში, ლაბორატორია, თავისი სამეცნიერო-პრაქტიკულ მუშაობით და წარმოებით მიიღებს დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას მთელი ეხარის მასშტაბში, ჯან. კომის. ცენტრალური ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია აღდგენილია შემდეგი სახით:

1) კლინიკო-დიაგნოსტიური განყოფილება.

2) ვაქცინის განყოფილება.

3) სამეცნიერო გამოკვლევათა განყოფილება.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ლაბორატორიაში დაწესებული იყო „ყვავილის სახბოო“ (оспенный телятник, რომელმაც დღემდე გამოსცა 694.500 დოზა ყვავილის ლიმფისა, რომელი ლიმფაც უფასოდ დაურიგდა და გაეგზავნა ყველა რესპუბლიკის სამაზრო და საქალაქო ჯანმრთელობის განყოფილებებს, რის საშუალებითაც სან. ეპიდ. განყოფილებამ შესძლო სისწრაფით მოსპობა შარშანდელ ზამთარში დაწყებული ყვავილის ეპიდემიისა.

ზემოდ ხსენებულ განყოფილებების აღდგენით და „ყვავილის სახბოო“-ს გახსნით ლაბორატორიამ ფართოთ გაშალა თავისი მოქმედება. ექვსი უკანასკნელი თვის განმავლობაში ლაბორატორიამ მოახდინა 6812 სხვა და სხვა გამოკვლევა, მიკროსკოპიულ, სერო-დიაგნოსტიური, კლინიკო-დიაგნოსტიური ბაქტერიოლოგიური, ქიმიური, რეაქცია ვასერმანისა, ბეზრედკა-ისა- საერთოდ 264.880.000 მანეთისა და აგრეთვე დაამზადა თავისი საკუთარი ნაწარმოები ვაქცინები: ხოლერის წინააღმდეგი, (მონოვაქცინა) 144 კილო 900 გრამი, ხოლერისა და მუცლის ტიფის წინააღმდეგი (დივაქცინა) 312 კილო 200 გრამი, გონორეას საწინააღმდეგო (გონოკოკის) 940 გრამი და 6 სერია ავტოვაქცინა, რაც საერთოდ აღემატება ერთ მილიარდ მანეთს.

დღეს სან. ეპიდ. განყოფილება შეუდგა კიდევ ორ ახალ დიდ განყოფილებების ორგანიზაციას და დაარსა, საძირკველი ჩაუდგა ლაბორატორიასთან ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკას, რომელ მიზნისთვისაც ლაბორატორიას გადაეცა რამოდენიმე ასეული სამეცნიერო, სამედიცინო წიგნები და ჟურნალები.

ასეთივე მიზნით დამატებით შემდეგი განყოფილებანი იხსნება: სეროლოგიური, მალარიისა და სიცხის ქვეყნების სნეულებებისა, ამ დღეებში დამთავრებული იქნება მუშაობა ზემოხსენებულ ახალ განყოფილების ორგანიზაციისათვის: შუამდგომლობა იღძრება იქვე ახლო სახლის ნაციონალიზაციისა ბინის გაფართოვებისათვის და ლაბორატორია ახლო მომავალში ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტად, რესპუბლიკის სამეცნიერო ორგანოდ იქცევა, როგორც ექიმთათვის, რომელთაც ესურვებათ ბაქტერიოლოგიაში—სამეცნიერო - პრაქტიკული მომზადება მიიღონ და მასთანვე ჯანმრთელობის კომისარიატის სანეპიდ განყოფილებისათვის ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი შეიქმნება მძლავრ იარაღად ეპიდემიის საწინააღმდეგო და საექიმო ფრონტზე.

ახალ განყოფილებების გახსნის შემდეგ ე. ი. გადასულს ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტის მდგომარეობაში, ლაბორატორიას შეძლება ექნება თავისი საკუთარი შრატი დაამზადოს, როგორიცაა დიფტერიტის წინააღმდეგი და სხვანი.

ამ ნაირად ჯანმრთელობის კომისარიატი ამ დღეებში რესპუბლიკას შესძენს ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტს და ამით შეჰქმნის სახელმწიფოსათვის სხვა და სხვა გვარ ნაწარმოებს საექიმო პროდუქტებისას, რომელნიც დღემდე ჩვენში სხვა და სხვა ქვეყნებიდან შემოჰქონდათ.

ექიმი **ნაზარეტიანი.**

პარტიული ცხოვრება

პარტიის უმაღლესწორგანოს დადგენილებით, გენერალურ ხელახალი რეგისტრაციის, საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრთა შემოწმების და გაწმენდის შესახებ,

ცენტრალურ შემმოწმებელი კომისია

კრომშენკოს თავმჯდომარეობით და წევრთა ამხ. თოდრიას და სტურუას შემადგენლობით იწყებს რა საპასუხისმგებლო და რთულ მუშაობას,—მიმართავს პარტიის წევრებს და უპარტიო ამხანაგებს, რომელთათვისაც ძვირფასია მმართველი პარტიის ძლიერება და მუშურ-გლეხური ხელისუფლების ჰყვავება—დაეხმარონ ცენტრალურ კომისიას მის რთულ მუშაობაში მასალების მიწოდებით, პარტიის როგორც უბრალო წევრთა ისე პასუხისმგებელ მუშაკთა მიერ ჩადენილ ბოროტ-მოქმედების და შეუფერებელ მოქმედებათა შესახებ.

კომისიისადმი ყოველი მიმართვა და პარტიის წევრთა წინააღმდეგ საბრალმდებლო მასალები უნდა იყოს წარმომდგენის მიერ ხელმოწერილი, ხოლო ცენტრალური კომისია იძლევა გარანტიას საიდუმლოდ შეინახოს მასალის მიმწოდებლის ვინაობა.

ყველა ამხანაგებს, პარტიულებს და უპარტიოებს, რომელნიც გამოდიან საზოგადო კრებებზე გაწმენდის დროს ამა თუ იმ წევრის ბოროტმოქმედებათა გამოსამჟღავნებლად, მიუხედავად მისი მდგომარეობისა სამსახურში, კომისია აძლევს გარანტიას დაცულ იქნეს მათი სრული ხელშეუხებლობა.

ცენტრალურ შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარე: **კორომჩენკო.**

წევრები: **თოდრია, სტურუა.**

მისამართი: რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი, პეტრე დიდის ქ. № 8, ოთახი 8.

საქართველოს კომ. პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი

წინადადებას აძლევს კომუნისტ სტუდენტებს სამი დღის განმავლობაში გატარდნენ რეგისტრაციაში მეოთხე რაიკომის სააღრიცხო სტატისტიკურ განყოფილებაში (გოლოვ. პროსპ. 32).

(3—1) რაიკომის მდივანი: **ამახი.**

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე 3 რაიკომი აცხადებს, რომ ოთხშაბათს 27 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე მე 3 რაიკომის ბინაზე (კახეთის ქ. № 1) გაიმართება

მე 3 რაიონის პარტიის წევრთა და კანდიდატთა

საერთო კრება

კომუნისტურ ახალგაზრდათა კავშირის და საჯარო სამსახურში მყოფ კომუნისტების თანდასწრებით.

დღის წესრიგი:

1) ამხ. ელიავას მოხსენება—ოსმალეთ საბერძნეთის ომი და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა აღმოსავლეთში, 2) მიმდინარე საქმეები.

ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

(2—1) მე 3 რაიკომის მდივნის მოადგილე: **ვარტაპეტიანი.**

განცხადება

კვირას, 1 ოქტომბერს, დილის 10 საათზე მუშათა მთლიან კოოპერატივის ბინაზე (კირკის და კაშოს ქუჩების კუთხეში) გაიმართება

თათბირი

კოოპერაციის იმ მუშაკთა, რომელნიც გატარდენ რეგისტრაციაში საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტში.

დღის წესრიგი:

1) კოოპერატიული პოლიტიკა სრულიად რუსეთის პარტიულ კონფერენციის თვალსაზრისით, 2) კოოპერატიული პოლიტიკა საქართველოში და პარტიის მომავალი ამოცანები. დასწრება ყველა ამხანაგებისა, კოოპერაციის მუშაკთა, რომელნიც ჩაეწერენ ტფილისის კომიტეტში სავალდებულოა.

(3—3) ტფილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

ოთხშაბათს, 27 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში გაიმართება

საქ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 რაიონის წევრთა და კანდიდატთა საზოგადო

კრება

დღის წესრიგი:

1) მოხსენება პარტიის გაწმენდის შესახებ, 2) კანდიდატების ნამდვილ წევრებათ ჩარიცხვა, 3) მიმდინარე საქმეები. ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

მე-4 რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი: **ამახი.**

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის

სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება

წინადადებას აძლევს ყველა ამხანაგებს, რომელნიც მიმაგრებული არიან იაჩეიკებთან, გამოცხადდენ ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში და გაეცნონ მასალებს ბაქოს კომუნას და 26 კომუნარების შესახებ, ვინაიდან 29 სექტემბერს ერთიან პარტიულ დღეს იაჩეიკების სხდომაზე მათ უნდა გააკეთონ ვრცელი მოხსენება ამ თემაზე.

ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე—**მ. ცხენი.**

(3—1)

პროვინციაში

გორის მაზრა.

გორის მაზრაში მენშევიკების ბატონობის დროს სკოლების რიცხვმა და მხოლოთ რიცხვმა საგრძნობლათ იმატა. გორში და მის მაზრაში უკანასკნელ დროს მენშევიკების ბატონობისას ითვლებოდა 210-ზე მეტი სკოლა, მასწავლებელთა რიცხვი აღემატებოდა 400 კაცს. ახლა კი ამ სასწავლო წლიდან გორში და მის მაზრაში, შტატების შემცირების გამო, დარჩენილია მხოლოთ 110 სკოლა. ამ შიშველ ფაქტით სარგებლობენ ჩვენი ზოგიერთი მტერ-მოყვარენი და ეწევიან პროვოკაციას, რომ ვითომ საბჭოთა მთავრობა სწავლა-განათლებაზე არ ზრუნავდეს. სრულებით არ უნდა მიიღონ მათ მხედველობაში ის ძირითადი მიზეზი, რომლის გამოც ეს ფაქტი წარმოიშვა.

გორის მაზრაში, როგორც აღვნიშნე, იყო 210-ზე მეტი სკოლა, მაგრამ უნდა მიექციეს ყურადღება იმას, თუ რას წარმოადგენდნენ ეს სკოლები. სოფლებში შეხვდებით სკოლას, რომელიც „დროებით“ მოთავსებული იყო ერთ რომელიმე გლეხკაცის ოთახში; შიგ იდგა რამდენიმე ცალი პარტა, რაიც შეადგენდა სკოლის მთელ მოწყობილობას. ოთახი იყო ბნელი, მინებ ჩამტვრეული, არავითარი ჰიგიენური მოთხოვნილება ამ სკოლაში არ იყო დაცული და სოფლის ბავშვებს იგი ამახინჯებდა, სიბნელის გამო ის სკოლა უქადდა მათ თვალების გაფუჭებას. ორპირი ქარი და წვიმის წყალი, რომელიც წვიმის დროს ავსებდა კლასს, უქადდა ბავშვებს გაციებას და დასნეულებას. მასწავლებელთა შემადგენლობაც სრულებით ვერ იდგა თავის სიმაღლეზე, ნიშნავდნენ მასწავლებლათ სამ ან ოთხ კლას დამთავრებულებს და ასეთ მრავალ რიცხოვან მასწავლებლობას მთავრობა აძლევდა ჯამაგირს, რომელიც შეადგენდა ხალხის ნაშრომს, მაგრამ მასწავლებლობას კი, დიდი სურვილიც რომ ჰქონოდათ, არავითარი სარგებლობა არ შეეძლოთ მოეტანათ ხალხისთვის ზემოაღნიშნულ სკოლების მოუწყობლობის და თავიანთი მოუმზადებლობის გამო.

ამგვარი სკოლები სულ წყალს მისცა ახალმა დამტყდარ უბედურობამ, როგორიც იყო მიწის ძვრა 1920 წელს, რომელმაც გორის მაზრის საგრძნობ ნაწილში ხალხსაც კი აღარ შეარჩინა თავშესაფარი. მაშ რაღა დარჩენოდა ამ სკოლებს?

ეარსებნათ მათ მხოლოთ ქაღალდზე? დიახ, არსებობდნენ ისინი ქაღალდზე და მასწავლებლობას მთელ თვეობით ეძლეოდათ ჯამაგირი, თუმცა ისინი არამც თუ არაფერს აკეთებდნენ, არამედ არც კი იმყოფებოდნენ თავიანთ ადგილას. დღეს კი სრული შეგნებით და ფაქტის გათვალისწინებით მთავრობა ანგარიშს უწევს ასეთ მოვლენას, ადგება ახალ გზას სწავლა-განათლებისას და ხელმძღვანელობს „Дело не в количестве, а в качестве“. და ამ მიზნით გორის მაზრაში ხდება სკოლების გადახალისება, შეჯგუფება, გაჯანსაღება. ზოგ ალაგას სოფლები ერთი მეორეზე დაშორებულია ერთი ან ორი ვერსით და ამ ახლო მდებარე სოფლების სკოლებში უფრო უკეთ მოწყობილი სკოლაა დატოვებული და დანარჩენ სოფლებში გაუქმებულ სკოლების მოწაფეები გადაჯგუფებულ არიან ამ უკეთ მოწყობილ სკოლაში. ამნაირათ ასეთი შემცირება სკოლებისა დიდათ მიზანშეწონილია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა ამგვარ სკოლების გაჯანსაღებას მოჰყვებოდეს თვით მასწავლებელთა კადრის გადახალისებაც. სოფლის მასწავლებელი სასურველია, რომ იყოს არამც თუ განმანათლებელი მუშაკი მხოლოდ კლასში, არამედ საჭიროა იყოს აქტიური განმანათლებელი მოღვაწე თვით ხალხშიც. ამგვარი მასწავლებლობა კი გორის მაზრაში ცოტა გვყავს. შემადგენლობა გორის მაზრის მასწავლებლობისა უმთავრესად ქალთა წრიდანაა, რომლებიც სოფლათ ეწევიან კარჩაკეტილ ცხოვრებას. მათ იციან მხოლოდ სკოლა და თავიანთი ბინა. ხალხში, სოფლათ, სოფლის ახალგაზრდობაში რაიმე კულტურულ-განმანათლებელი მოღვაწეობა მაჩნიათ უხერხულათ, როგორც ქალებს.

გორის მაზრაში საჭიროა ბოლო მოეღოს მასწავლებელთა შორის ასეთ ბიუროკრატობას და ისინი მჭიდროთ დაუკავშირდნენ გლეხობას, იყვნენ მათთან ჭირშიც, ლხინშიც. სამუშაო მათთან ბევრია. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ თუ სოფლის მუშა დაინახავს, თავისთან დაახლოვებულ მასწავლებლებს, დაინახავს რომ სკოლა და მასწავლებელი მის ბედნიერების მიმცემია, ისიც დააფასებს მათ, არაფერს დაზოგავს და შეძლებისდაგვარათ ხელს შეუწყობს სკოლის მოწყობის გაფართოვებას და მასწავლებლის უზრუნველყოფასაც.

შალვა გორელი.

ოლღა მიხეილის ასული, ქსენია და ჟორჟიკ მიმინაიშვილები, [illegible] იოსების ასული გალუსტოვი, ირაკლი და ვასილ კონსტანტინეს ძენი მიმინაიშვილები ცოლშვილებითურთ ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს პირველის ქმრის, მეორეთა მამის, მესამის სიძის, მეოთხეთა ძმის, მეხუთის მაზლის და მეექვსის ბიძის

პავლე კონსტანტინეს ძის მიმინაიშვილის

გარდაცვალებას, გამოსვენება სამშაბათს 26 სექტემბერს, დილის 10 საათზე გარდაცვალებულის ბინიდან მიხეილის ქ. № 13, დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის გალავანში.

(314—1—1

დამწუხრებულნი ტრაგიკულათ გარდაცვალებულის

ნიკოლოზ მიხეილის ძის ლაზაროვის

ძმა ილია მიხეილის ძე, რძალი ბარბარე ივანეს ასული, დედა მარიამ ლაზარეს ასული და ცოლი ანეტა ლაზაროვები სთხოვენ ნათესავთ და ნაცნობთ პატივი სცენ თავიანთი დასწრებით დაკრძალვაზედ. სახლიდან გასვენება მოხდება დილით 10 საათზე კობის ქუჩა № 11. სამშაბათს, 26 სექტემბერს სამების ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (353—1—1)

გაზეთის ტრესტის პროვინციალურ კონტრ-აგენტების საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელიც მათი საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრ-აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიეცემა პასუხის გებაში. (0—29)

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი

საქართველოს ს. ს. რ. წინადადებას აძლევს ყველა კერძო საექიმო დაწესებულებებს (საექიმო, კბილის საექიმო) როგორც ადგილობრივ აგრეთვე უცხოეთის ქვეშევრდომთ აღირიცხონ ჯანმრთელობის საორგანიზაციო განყოფილებაში 15 ოქტომბრამდის ა. წ. ის საავადმყოფო დაწესებულებანი, რომლებიც არ აღირიცხებიან აღნიშნულ ვადის შემდეგ დაიხურებიან.

(კრ. 355—1—1) ჯ. ს. კ. საორგანიზაციო განყოფილება.

აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალი

წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებას და ადმინისტრაციას წარმოუდგინოს მას სოფ. ანდისის სამხრეთ ოსეთის ოლქის მცხოვრები ანტონ ბაბაევი. ნიშნები გამოურკვეველია.

აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალის თავმჯდომარის მაგიერ **მ. ურუშაძე.**

(კრ. 344—3—3) პასუხისმგებელი მდივანი: **ლ. მანჯავიძე.**

აღმასკომის გადასახადთა ბიურო

აცხადებს,

რომ ოთხშაბათს, 27 სექტემბერს დღითი 12 საათზე აღმასკომის შენობაში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სასტუმროებზე „პოლეროიალ“, „ისლამია“-ზე და „სალმაზი“.

კონდიციის გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში საჯარო მაგიდის გამგე—**დურახველიძესთან.** (კრ. 348—4—2)

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადების ამკრეფი

ბიურო

აცხადებს,

რომ ვერის ბორანზე 21 სექტემბრიდან გადაუვანის ქირა იქნება 2.000 მანეთი.

(კრ. 345—6—3) საიჯარო მაგიდის გამგე **დარახველიძე.**

სარედაქციო კოლეგია

საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიული განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.